წელიწადი პირველი. ფასი [illegible] კაპ. შაბათი, 24 ოქტომბერი 1915 წ. № 125

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакці „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

მეხილეთა კოოპერატიული ამხანაგობა **ქართლი**

მაღაზია

პუშკ. ქ. სემინარიის ძველი შენობა.

მუდმივად გვაქვს წევრებისაგან ყოველნაირი ჯიშისა და ხარისხის ხილი.

თაფლი უცვლელი და ცენტროფუგისა.

ღიაა დილის 8 საათიდან—საღ. 9 საათ.
კვირა-უქმე დღეს დილ. 11 სათ. 4 საათ.

დაიაქი

სალდათის ბაზარი (იარმუკა), მუხრანბატონის სახლის ეზოში.

ამხანაგობის გამგეობა ამით აუწყებს სოფლის მეურნეთ, რომ თანახმად ამხანაგობის საზოგ. კრების დადგენილებისა მან დაიწყო დაიაქით ვაჭრობა, (საკომისიო ვაჭრობა) სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებით. პირობები იკითხეთ მაღაზიაში და დაიაქზე.

ღიაა დილის 6 ს. საღ. 7 საათამდე.

გამგეობის წევრებთან პირადად მოსალაპარაკებლად საღ. 8—9 საათ.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება

ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლად შევღებოთ საქალებო და სავაჟო **ქუდები**

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო „**კოტელოკებს**“ და „**ცილინდრებს**“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ გინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო [illegible]
გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.

პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ, პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

საჭიროა

რემენგტონზე მომუშავე **ქალი**

მიჰმართეთ ელისაბედის ქუჩა № 65 ოთხიდან ხუთს საათამდე. ბინა № 1

საჭიროა

მოსამსახურე, ქალი თუ ◆ ◆
◆ ◆ ვაჟი სულ ერთია

ადრესი: გაგება შეიძლება რედაქციის კანტორაში ორიდან სამს საათამდე.

ბეჭდვის საწერ მანქანის საშვალებით და საწერ **მანქანაზე** მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

◆ ვერის დაღმართი № 1 ◆

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი
(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. ბორჯომი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი
გ. მ. მუხაძე

იღებს **სადოსტაქრო** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ **პროვიზორის ახვლედიანისა** ◆

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

„ხარფუხის კლუბი“

საზამთრო სადგომი მიხეილის პროსპექტი № 129—131

პროგრამა 42—25 ოქტომბრამდე.

შაბათს, 24 ოქტომბერს კონცერტი.
კვირას 25 ოქტომბერს სიმებიანი ორკესტრი, ბ. პრესმანის ლოტბარობით.
სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 საათზე. წარმოდგენების $8^1/_2$ **ს.**
სტუმრები კლუბში შესასვლელად ჩვეულებრივ ფასს იხდიან.

იყიდება

ხელმისაწვდენ ფასებში

◆ ◆ **ორი საწერი მაგიდა** ◆ ◆

ელისაბედის ქუჩა № 65. ბინა გძელიშვილისა.

ათი წლის შემდეგ

მეტად მძიმე პირობებში მოუხდა რუსეთს 17 ოქტომბრის მანიფესტის დღესასწაული. ასეთ ვაი-ვაგლახში იუბილეებისთვის ვერ იცლის ერი. მას უფრო საგულისხმიერო საზრუნავი აქვს, ვიდრე თუნდ ასეთი მნიშვნელოვანი აქტის დღესასწაულია. უეჭველია, სხვა დროს სხვაფრივ იდღესასწაულებდნენ. როგორ, რა სახით, ამ ჟამად პარადოქსები დაგვჭირდება, ეს კი არც იმდენად სასურველია. ვიტყვით მხოლოდ, რომ დღეს-დღეობით მაინცა და მაინც რუსის ხალხს საიუბილეო არა აქვს რა. ან რა იდღესასწაულოს, რომელი კონსტიტუცია, ან რა ჰქვიან ამ კონსტიტუციას, რას იძლევა ეს 17 ოქტომბრის მანიფესტი, ეს ის მანიფესტი, რომელსაც აგერ ათი წელია შინჯავენ, აკრიტიკებენ და დღემდინ არც რუსეთისა და არც უცხო ერის [illegible] დაწყვეტილი სახელწოდება ვერ მიუცია. არის ის ძირითადი კანონი რუსეთის ახალი ცხოვრებისა, განსაკუთრებული ინსტრუქცია მონარქისა თუ წინასწარი პროგრამა საკონსტიტუციო რეფორმების შემოსაღებად? ათი წელია ამ მერყეობაში სცხოვრობს რუსეთი. მას აქვს ერთგვარი პარლამენტი, სახელმწიფო სათათბირო,

შემოიღეს.

დიახ, აი, ეს სათათბირო, რომელიც აგერ ეს ათი წელია სცოცხლობს ვაი-ნაჩრობით, დოროშევიჩის მოსწრებულ სიტყვისა არ იყოს, დაუმთავრებელ შენობად დარჩა და ამიტომაც არ გვიკვირს, თუ რუსულ კონსტიტუციონურ ოფიციალ არსებობას არა ოფიციალი და ფრიად გამოურკვეველი სახე ეძლეოდა.

რეფორმების ნაცვლად მხოლოდ ქაღალდზედ დაწერილი და აუხდენელი სურვილები დავინახეთ. როგორც ვიცით, 17 ოქტომბრის მანიფესტით რუსეთის ქვეშევრდომთ მიეცათ პიროვნების ხელშეუხებლობა, სინიდისის თავისუფლება, თავისუფლება სიტყვის, კავშირების, მონა პოლიტიკური—თავისუფალ მოქალაქის სახელწოდებას ატარებდა, ერთი სიტყვით, საქვეყნოდ გამოცხადდა და კანონიერად აღიარებულ იქმნა ყოველივე ის, რაც ღვთისა და საღის გონების მიერ ყველა ადამიანის გულის ფიცარზე უწმიდეს ცნებად უნდა იყოს აღნიშნული

როდიჩევის თქმისა არ იყოს, პოლიტიკური თავისუფლება კრამოლის სინონიმად გახდა. რეაქციამ მოსპო, უკედ,

რავა საკონსტიტუციო დებულებანი, აბუჩად აიგდო ხალხის წარმომადგენლობა. მისმა უგნურმა ქარიშხალმა წარხოცა თვით განახლების სურვილიც კი. განა გასაკვირველი იქნება, თუ ყველა ამის შემდეგ ახალგაზდა რუსეთის ნორჩი სული უმწეოდ კვნესას დაიწყებდა და დახავსებულ რეჟიმით გულგატეხილი უთავბოლოდ გაჰყვებოდა ყოველგვარს ქარიშხალს? სად იყო სისაღე? სად იყო კონსტიტუციის ნამდვილი სული? სათათბიროც და პარლამენტიც მხოლოდ ევროპულ გემოვნების მიბაძვით გამოჭრილი ქურქი იყო, ისიც უხეირო დერციკის მიერ, ასე რომ გარღვეულ იღლიებიდან აშკარად მოსჩანდა ძველი რეჟიმის ჩავსმოდებული მხარ-ბეჭი. თავი იჩინა ძველებურმა სილაღემ და ვერ ამჩნევდა თუ ახალგაზდა რუსეთის ნორჩი სული როგორ მძულვარებით პირს აბრუნებდა მას. რუსეთისადმი სიყვარული იძულებითი სიყვარული იყო, ნამდვილი მონის სიყვარული. თუ ეს ასე მოხდა თვით რუსთა შორის, ადვილად წარმოსადგენია პატარა ერთა მდგომარეობის სიმწვავეც. ძველმა რუსეთმა მას მოსტაცა ყოველისფერი. გულჩათუთქულთ თავის მოქმედებით მთავარ raison-ათ ძალას უჩვენებდნენ: ჩვენი უფლება მუშტია! მათი არსებობა მხოლოდ გაჭირვების დროს აგონდებათ.

აღსარება, ეროვნულ კულტის პატივისცემა, ეროვნულ რწმენის შერჩენა, მოითხოვდნენ სრულს დამორჩილებას, ეროვნულ უფლებათა უარისყოფას, ეს იმ უფლებათა უარისყოფას, რომელიც უფლებად გამოცხადებულია ისტორიულ კეთილგონიერების უაღრესი მოთხოვნილებით. ისე მოსჩანდა თითქოს რუსეთი თვითვე შეითნა რუსეთის საწინააღმდეგოდ. ძველმა რუსეთმა თვითვე შეჰქმნა ახალგაზდა რუსეთის თავზე გამოქროლილ თვალბედითი არწივის სანავარდო ასპარეზი. დღეს ახალგაზდა რუსეთი მარცხდება არა იმიტომ, რომ ნაკლებ მამულიშვილური გრძნობებით იყოს აღგზნებული, ვიდრე მისი მოსისხლე მტერი გერმანეთი, არამედ იმიტომ, რომ ცალი ხელი მილურსმული აქვს ძველ რეჟიმის რკინის პალოზე. ახალგაზდა რუსეთს სწყურია წმინდა პოლიტიკური სიო, სწყურია ამაყი მამულიშვილობა, ჭაბუკური აღფრთოვანება და არა იძულებითი სიყვარული. მიეცით მას გზა ფართო, ფაქტიურად განუხორციელეთ ის მცირედი აღთქმანი, რაზეც თვით იმპერატორმა კეთილინება და ამ ათი წლის წინად 17 ოქტომბრის მანიფესტით აუწყა რუსეთს განახლების დღესასწაული და მაშინ დაინახავთ, თუ რა ძალაა დამარხული ახალგაზდა რუსეთის მკლავში, თუ რა მტკიცე და ურყევი სული ჰმეფობს მის ჯანსაღ სხეულში...

ომის მიმოხილვა

როგორც არა ერთხელ გვითქვამს ბულგარეთის გამოსვლის შემდეგ მთელი მსოფლიოს ყურადღება ბალკანეთმა მიიპყრო.

აქ წყდება სვე-ბედი საშინელი მსოფლიო ომისა. ბალკანეთი გამოდგა ინგლისისათვის სუსტი კოჭი აქილესისა. ინგლისი დიდის ენერგიით ცდილობს ბულგარეთში შეთანხმების დიპლომატიის დამარცხება ბალკანეთის მეორე სახელმწიფოში—საბერძნეთში გამარჯვებით აინაზღაუროს, რადგანაც იცის რომ მისი დიდების სიკვდილი იქნება ბალკანეთში დამარცხება; მან კარგად უწყის რომ ბალკანეთზე დამარცხება ინგლისს დააკარგვინებს ხმელთა შუა ზღვის გასაღებს—სუეცის არხს, ე. ი. ინდოეთის გზას და მტკიცე უფლებას ინდოეთსა და ავსტრალიაზე. მისი პრესტიჟი ამ კოლონიებში დაეცემა და პირველ ხარისხოვანი მსოფლიო დედოფლობას უნდა გამოეთხოვოს. ცნობილია, რომ ინგლისი კოლონიით სცხოვრობს და რომ მის სიმდიდრეს, სიამაყეს და სიძლიერეს სწორედ ეს კოლონიები შეადგენენ; და თუ ესენი არ ეყოლა, ინგლისი ერთ დიდ უზარმაზარ ქალაქად გადაიქცევა, რომელსაც თავისი რჩენა თავისი მიწაწყლით არ შეეძლება. ამიტომაც დღეს ინგლისში ძალის უმწვერვალესი მობილიზაციაა. ქვეყანა არაჩვეულებრივ სიმწვავეს განიცდის. ასი წლობით განმტკიცებულ მის პოლიტიკას ბალკანეთის მარცხი დიდ განსაცდელში ჩააგდებს.

ასკვიტის პოპულიარი სამინისტროს რყევა—შედეგია დიდი სახელმწიფოებრივი განცდისა. ინგლისი, რომელიც მთელ იმედებს ომის ხანგრძლიობაზე ამყარებდა და გერმანეთს ათასგან უმზადებდა საფრთხეს, დღეს თავის პოლიტიკას და სტრატეგიის შეცვლას შეუდგა, რადგანაც გერმანეთმა შესძლო აქამდე ომს გასძლებოდა და ვერავინ იტყვის მეტს ვერ გასტანსო. ინგლისს ძალიან უჭირს ახალ ახალ ჯარების შედგენა; მოხალისეებიც რომ იშოვნოს მარტოკა ჯარისკაცების შენახვა წელში გასტეხს, რადგან ყველას ჯამაგირი უნდა აძლიოს და ისე ფუფუნებაში აცხოვროს, როგორიც ჩვეულნი არიან.

მოწოდებას სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოსაღებად მუშა ხალხის წრეებში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. გარდა მუშებისა და მათი კავშირებისა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგრის წინააღმდეგ გამოვიდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და თვით გამოჩენილი მწერლებიც.

უზარ-მაზარ რუსეთს კი უზარმაზარი და აურაცხელი მასალა სჭირდება და ასეთი მასალის მომზადება, მხოლოდ-ღა შეიძლებოდა მომზადება 40 წლის განმავლობაში, როგორც გერმანეთი ემზადებოდა, თორემ ფულის საქმის მოწესრიგება და ამ აურაცხელ ჯარისათვის უთვალავი მასალის მიწოდება რამოდენიმე დღეში თუ თვეში ვერ მოხერხდება.

დიდი თავგანწირულობა გამოიჩინა რუსის ხალხმა, შეუძლებელი შესძლო და დახმარება გაუწია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მთავრობას, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა რომ ომი შეთანხმების სახელმწიფოების სასარგებლოდ დასრულდეს, მით უმეტეს, რომ ბრძოლის საბედისწერო ადგილი დაშორდა რუსეთს და მისთვის თითქმის მიუწდომელ ადგილს სწარმოებს, ასე რომ აქეთკენ რუსეთს დიდი აქტივობის გამოჩენა არ შეუძლია, უკეთუ რუმინეთი არ დაიყოლია და ომში არ ჩარია,

რუმინეთი აქტიურ გამოსვლაზე საერთოდ უარს ამბობს. ხოლო ძალით მისი გადალახვა კი არც ეგრე ადვილი საქმეა, რადგანაც დასვენებული და კარგად გაწვრთნილი ჯარი ჰყავს.

საფრანგეთიც დიდ განსაცდელში და საგონებელში ჩავარდა დარდანელის ოპერაციით საწადელს რომ ვერ მიაღწიეს და რუსეთმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალეთ-სერბეთმა ხელი რომ ერთმანეთს ვერ გადააბეს.

ახალ-ახალი ჯარები გამოგზავნა და ახალი ხარჯების გაწევა საფრანგეთს ძლიერ სახიფათოდ მიაჩნია, რადგანაც თავისი ტერიტორია ჯერაც ვერ გაუწმენდია მტრისაგან და თავის ფრონტის სიძლიერეს არჩევს ბალკანეთის ექსპედიციის სიძლიერეს.

იტალეთიც, რაღაც უკან და უკან რჩება და სხვებთან ერთად არ გამოჰყავს ჯარები. სერბეთში კი მდგომარეობა მეტად გართულდა. აგერ რამოდენიმე დღეა არავითარი ცნობა არ მოსულა. აქამდის კი ეს ვიცით, რომ სერბეთს სამი მხრით მოაწვა მტერი. მთელი აღმოსავლეთის მხრით სერბეთში შემოიჭრა ბულგარეთი, რომლის ჯარი შეუერთდა გერმანელების ჯარს ქალაქ ნეგოტინის მიდამოებში. აქედან ეს ჯარები მოიწევენ სერბეთის ცენტრისა—ნიშისაკენ. დასავლეთით ბელგრადიდან მოკიდებული მთაშავეთის მიდამოებამდე მიდის ავსტრიელთა ჯარები, და ესენი ცდილობენ აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმავალ სერბეთის ჯარებს გზა გადაუჭრან და ხელში ჩაიგდონ.

სამხრეთ სერბეთში, აღმოსავლეთიდან შემოსეულმა ბულგარებმა დიდი მანძილი დაიკავეს და ხელთ იგდეს გზები სალონიკიდან მომავალი. ინგლის-ფრანგების ჯარებს შეტევა დაუწყიათ ბულგარეთის ტერიტორიაზე, როგორც კი საბერძნეთიდან გადმოსულან, სტრუმიცის მახლობლად, მაგრამ ბულგარეთის რკალის გარღვევა და სერბეთის ცენტრის ჯარებთან შეერთება ვერ მოუხერხებიათ. ბულგარების ხელში უნდა იყოს სერბეთის დიდმნიშვნელოვანი რკინის გზის ლიანდაგზე მდებარე ქალაქები უსკიუბი, ვრანია, კუმანოვო, ველესი და სხვ.

აქედან ბულგარები ალბანეთისაკენ აპირებენ გაჭრას და როგორც ცნობებია, კიდეც გაჭრილან, და შემდეგ ჩრდილოეთისაკენ იზამენ პირს, რომ სერბეთის ჯარები მოიმწყვდიონ და იძულებული გახადონ კაპიტულიაციაზე. სერბები გრძნობენ ასეთს საშიშ მდგომარეობას და უკვე სკუპშჩინაში წამოაყენეს საკითხი ზავის ჩამოსაგდებად, მაგრამ უმრავლესობამ დამორჩილებას „ლამაზი“ სიკვდილი არჩია. ეს იმას ნიშნავს, სერბებმა გადასწყვიტეს, თუ მტერი ვერ დაამარცხეს ზედ შეაკვდენ მათ, ან როგორმე თავი დააღწიონ და ბელგეთის მსგავსად ჯარითა და მთავრობით დროებით სერბეთიდან გაიხვეწონ, მინამ მტერი არ იქნება განდევნილი და დამარცხებული. გასახიზნი გზა უმახლობელესი და უფრო თავისუფალია ალბანეთ-მთაშავეთისკენ, სადაც შესძლებენ თავისუფლად გაერთიანებას ინგლის-საფრანგეთის საექსპედიციო ჯარებთან.

ესეთია ჯერ-ჯერობით ბალკანეთის მდგომარეობა. აქაური ომის ისტორიისათვის ერთს წუთსაც მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სერბეთი იწურება სისხლისაგან, ეხარჯება ტყვია წამალი, აკლდ[illegible] სასმელ საჭმელი და შემოსატანი გზა თანდათან უვიწროვდება. გაუბედურებული, აწიოკებული ხალხი ზარ-დაცემული გარბის, საითაც კი შველა ეგულება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბულგარეთ-სერბეთის ურთიერთისადმი სიძულვილი იმდენათ ძლიერია, რომ ერთმანეთს აღარ ინდობენ და სასტიკად ექცევიან.

გ. გ.

ომის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის ფრონტზე ბრძოლას პოზიციონური ხასიათი მიუღია, როგორც ეტყობა გერმანელთ აზრათ აქვთ ზამთარი ამჟამად დაჭერილ ადგილებში დაჰყონ. სტოპაზე თბილ კარავებს აგებენ, ბუხრებით. დასავლეთის ასპარეზზე გერმანელნი აწყობენ სახლებს გამაგრებულ სოფლებში. გერმანელთა მოქმედებასაც ამ ბოლო ხანს წინანდელი მკაცრი აქტიური სახე აღარ აქვს, პირველ ხარისხოვან ძალას იგინი სხვა ადგილებში ისტუმრებენ.

——

ამას წინად ქ. პეტროგრადში ფინლიანდიიდან მოსული ერთი ყუთ დაიჭირეს, რომელშიაც ეწყო წერ ლები და მოწოდებები სხვა და სხ პირთადმი საჩქაროდ ზავის ჩამოს დებად.

რუსეთის ფრონტზე მოქმედ გერმანელთა რიცხვი.

ამჟამად რუსეთის გაზეთების სიტყვით რუსთა ფრონტზე იმპერატ ვილჰელმს მხოლოდ 480.000 მე მარი ჰყავს, რაიც რუსეთის გაზეთ ბისვე აზრით რუსეთის ლაშქარს ბას აძლევს მტერს შეუტიოს.

სენსაციური ამბავი.

ქ. ასტრახანში ყოფილა და პორუჩიკი, რომელიც თავ

რუსეთის მწერლის კოროლენკოს შვილად ნათლავდა, ასეთივე პირი გამოჩნდა ქ. ვიტებსკში და განაცხადა მე მწერალ კოროლენკოს ძმისწული ვარო, ამის შესახებ მწერალი კოროლენკო აცხადებს, რომ მას ვაჟიშვილი და არც ძმისწული ომში არ ჰყავს.

მუშათა წარმომადგენლის დატყვევება.

ამ დღეებში ქ. ტორნეოში ელოდნენ მუშათა საბჭოს წარმომადგენელ თავმჯდომარეს ხრუსტალევ-ნოსარს მაგრამ ის გზად შეიპყრეს და პეტროგრადის პროკურორს წარუდგინეს.

რიგის ოპერაცია.

რუსეთის გაზეთები ამბობენ: ამ ბოლო დროს მეტად გამძაფრდა რიგის ყურესთან ოპერაცია. კემერნექთან დიდი სისხლის მღვრელი ბრძოლაა. დასავლეთ დვინის მიმართულებით, რუსები მტერს აჩერებენ. დვინის რაიონში მტერი ლამობდა ხელში ჩაეგდო დვინის ტეტ-დე-პონი, მაგრამ ამაოდ. ტარნოპოლის რაიონში მტერი აცხოველებს მოქმედებას, რომელიც ხანდახან წვრიმალ გამარჯვებით ბოლოვდება, აქ ჩვენ დიდი ენერგია გვჭირდება მტრის შესაჩერებლად და მათი გამარჯვებათა ჩასაფუშავად.

მთაშავეთის წინააღმდეგ.

ჰოლანდიის გაზეთები იუწყებიან: სარაევოში თავმოყრილია 20,000 ავსტრო-გერმანელი არტილერიით და ტყვისმფრქვეველებით შეიარაღებული, რომელნიც მთაშავეთის წინააღმდეგ გაილაშქრებენო.

ბულგარეთში.

ხმებია ბულგარეთი გერმანეთის წინადადებით საბერძნეთს უთმობს ქ. მონასტერს, ნეიტრალობის დასაცავადო.

ბუქარესტიდან იუწყებიან: ავსტრეთმა რუმინეთის საზღვრებზე მდგომი სამი კორპუსი ლაშქარი საჩქაროდ გადიყვანა სერბეთ-იტალეთის ფრონტზე.

სერბეთში ავსტრიელების ჯარი

ავსტრიელებმა დაიჭირეს სოფელი დობრუნის მახლობელი მაღლობები. კევეშის არმიამ მიაღწია იორნი ბილანოვიცის მთამდე. ავსტრიელებმა დაიჭირეს ტოპოლას მაღლობები ხანგრძლივი ხიშტით ბრძოლის შემდეგ.

გერმანელების ჯარი.

მდინარე ორთავე ნაპირას მომქმედი გერმანელების ჯარებმა მიაღწიეს რავკას მაღლობებს, და დაიჭირეს მდინარე მლავის ზემო ნაწილი. კნიაჟევიცის აღმოსავლეთით ბულგართა ბრძოლაა.

ჯართა შეერთება.

კლადოვაში შეერთდენ ბულგართა და გერმანელთა ჯარები. სერბები იძულებული გახდნენ მტრის ძლიერი შემოტევის წინაშე უკან დაწეულიყვნენ.

გერმანელები ამაგრებენ სერბეთის ფრონტს.

ბუქარესტიდან ცნობაა, გერმანელები გამალებულად მუშაობენ სერაეთის ფრონტის გასამაგრებლად და ამოაქვთ ღრმა თხრილები.

სამხედრო საბჭო ინგლისში.

„Dailu News“-ის ცნობით ცვლილება მოხდება ინგლისის სამხედრო საბჭოს შემადგენლობაში. დღემდე მისი არსებობა არ იყო ოფიციალი, დღეიდან კი ოფიციალი გახდებაო. ეს სამხედრო საბჭო გადასჭრის ყველა სამხედრო საკითხს გარდა ახალ-ახალ საექსპედიციო ჯარების გაგზავნისა.

გერმანელთა შეთქმულობა.

ნიუ-იორკში აღმოაჩინეს გერმანელთა დიდი შეთქმულობა. შეიპყრეს შვიდი შეთქმული, რომელთაც აღმოაჩნდათ დიდძალი ასაფეთქებელი მასალა და ნიუ-იორკის სიმაგრეთა გეგმები. შეთქმულობას ორი ოფიცერი ხელმძღვანელობდა. ამათ განკარგულებაში ყოფილა დიდძალი ფული. გამოირკვა რომ შეთქმულებს აზრად ჰქონიათ ჯოჯოხეთის მანქანები აემუშავებინათ ნიუ-იორკში იმ ქარხნების დასანგრევად, სადაც მზადდება სამხედრო მასალა შეთანხმების სახელმწიფოებისათვის.

საბერძნეთის დემობილიზაცია.

„ფრანკფურტერი ცეიტუნგის“ ცნობით საბერძნეთის სამინისტროს ყოფილი პრემიერი ვენიზელოსი ამ დღეებში წინადადებას წამოაყენებს, რომ საბერძნეთის ჯარის დემობილიზაცია მოხდესო.

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის კრება.

ოსმალეთის სამხედრო მინისტრის ენვერ-ფაშის ბინაზე გაიმართა საგანგებო კრება ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტისა. განიხილეს პასუხი, რომელიც საბერძნეთმა წარმოადგინა ოსმალეთის მთავრობის წინადადებით მოკავშირეთა ჯარების სალონიკში შემოშვების შესახებ. კომიტეტმა დაადგინა ახალი ნაბიჯი არ გადადგას ათინაში, რადგანაც გერმანიამ იკისრა ამ საკითხის მოგვარებაო. კომიტეტმა დაადგინა ორასი ათასი ჯარის კაცი გაგზავნოს საბერძნეთის ტერიტორიაში შესასევად დრამისა და კავალის რაიონით.

ბრძოლის ველზედ

წინა დღეების მსგავსად შეტევ-შემოტევა, იერიშები და კონტრიერიშები განუწყვეტლივ ხდება შლოკის რაიონში და ბაბიტის ტბის ჩრდილო-სამხრეთ-დასავლეთით.

ბაბიტის ტბის სამხრეთ-დასავლეთის განაპირას, ს. უშინთან გერმანელები განსაკუთრებულ მედგრობას იჩენენ.

მთავარ შტაბის დეპეშაში დღეს ერთი საყურადღებო ცნობაა. დვინსკის ჩრდილოეთით, ასე 25—30 ვერსის მოშორებზე, გლაუდენთან გერმანელები ცდილან მდ. დვინის გადმოლახვას. სჩანს გლაუდენის რაიონში მდინარის მარცხენა ნაპირი გერმანელებს რუსებისათვის დაუცლევინებიათ. 19 ოქტომბრის (შტაბის თარიღით) დეპეშებიდან გვეუწყა რომ ფრიდრიხშტატის ზემოდ ალაგ ალაგ გერმანელები შეეცადნენ ნავებით ხალხი გადაესხათ დვინის მარჯვენა ნაპირს. მაშასადამე ამ ფრიად მნიშვნელოვან რიგა-დვინსკის რაიონში დღეს მდგომარეობა ასეთია მდ. დვინის გაყოლებაზე: რამდენიმე ადგილას გერმანელები ფლობენ მდინარეს მარცხენა ნაპირას ყოველ მარჯვე შემთხვევაში ცდილობენ მეორე ნაპირზე გადმოსვლას.

ამ ადგილებს გერმანელები ბაზად გაიხდიან ვითომდა რუსების ფრონტის გასაჭრელად და ეჭვი არაა აქ ისინი არ მოიშლიან ცდას ჯარების გადასხმისას მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მიუხედავად იმისა დღემდე ამ გვარ ცდებს დიდი მსხვერპლი მოუტანია მათთვის და უშედეგოდაც ჩაუვლია.

დვინსკის რაიონში სოფელ პლაკონუკასთან, რომელიც სვენცენის ტბის სამხრეთით მდებარეობს, გერმანელებმა რამდენიმე კონტრ-იერიში მოიტანეს. მაგრამ შედეგი არც ერთს არ ჰქონია. აქ რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 5 ოფიცერი და 531 ჯარისკაცი.

გაცილებით უფრო ცხარე შეტაკება მოხდა ჩარტორისკის დასავლეთით სოფელ პოდგოტიეში, აქ გერმანელები შეცვივდნენ ტყეში და ტყე-ტყე წინ წამოიწიეს.

რუსების კონტრ-იერიშზე, რომელმაც წინ მომავალი გერმანელები შეაჩერა, გერმანელებმა სასტიკის კონტრ-იერიშით უპასუხეს და საშინელი ქარიშხალური ცეცხლი გააჩაღეს.

გალიციაში თვალსაჩინო არა მომხდარა-რა. ადგილი ჰქონდა ჩვეულებრივ შეტევ-შემოტევას.

კავკასიის ბრძოლის პირზე, შავი ზღვის პირა ადგილას და თორთუმის ტბის რაიონში, სოფელ იშხანთან რუსების მოწინავე რაზმებმა გააქციეს მაღლობზე დაბანაკებული ქურთები.

სერბეთის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა.

საფრანგეთის ტერიტორიაზე უძრავი მაგრამ ულმობელი საპოზიციო ბრძოლა გრძელდება.

მეგრი.

შტაბის დეპეშები

პეტროგრადი, 22 ოქტ. ოფიციალი დასავლეთი ფრონტი. შლოკის რაიონში რაგაცემის მახლობლად მოგერიებულ იქმნა გერმანელთა იერიშები. რუსები ცოტაწინ იწევენ ბაბიტის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით და დუშანის სამხრეთით. აქ გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ. დკონაზე, გლაუდენის მახლობლად, გერმანელები სცდილობდნენ მდინარეზე გადასვლას, დვინსკის ქვემოდ, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარათ. დვინსკის რაიონში რუსები წინ წავიდნენ ილლუქსტის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სოფ. პლატონოვკისთან, სვენტენის ტბის სამხრეთით, გერმანელებმა რამდენჯერმე უნაყოფო იერიში მოიტანეს. რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 5 აფიცერი და 521 ჯარ. კაცი 4 ტყვიისმფრქვეველითურთ. აქ გერმანელთა დანაკლისი დიდია. რუსები წინ მიდიან. სოფ. პოდგორიეს რაიონში, ჩარტორისკის დასავლეთით, მტერმა ტყეში შესვლა მოახერხა და შიგ გაიფანტა. მძიმე მოქმედება მოუხდათ რუსებს. მაგრამ როგორც იყო შეაჩერეს მტრის წინსვლა. მთელი რაიონი დახოცილებითაა სავსე. ტყვედ წამოიყვანეს 8 აფიცერი და 400 ჯარის კაცი ორი ტყვიის მფრქვეველით. გერმანელებმა ჯერ არ ნახული ცეცხლის ქარიშხლით უპასუხეს და იერიშით გამოილაშქრეს, მაგრამ კვლავ შეჩერებულ იქმნენ. უკუქცევის შემდეგ განაახლეს ცეცხლის ქარიშხალი და სოფ. კომაროვის ჩრდილოეთით დასცხეს რუსის ჯარს, მაგრამ ეს იერიშიც მოგერიებულ იქნა. სადგურ კლევონზე, როვნოს ჩრდილო-დასავლეთით მტერმა 2 ყუმბარა ჩამოაგდო. ველიცის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელთა იერიში შეჩერებულ იქნა. კონტრ-იერიში მტერმა განაახლა, მაგრამ თხრილებშივე დავახევინეთ. 21 ოქტ. საღამო ჟამს მისწყდა ომის ხმა.

კავკასიის ფრონტი. შავი ზღვის სანაპირო რაიონში, აგრეთვე ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე, რუსის რაზმება გაჰფანტეს ქურთები.

საფრანგეთის ახალი სამინისტროს დეკლარაცია

პარიზი, 21 ოქტომბერი. დეპუტატთა პალატა. კრება გაიხსნა დეშანელის თავმჯდომარეობით. ბრიანი კითხულობს სამინისტროს დეკლარაციას.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მთავრობის მთელი ძალა გადამწყვეტ მოქმედებას უნდა მოხმარდეს, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს, როგორც ზედმეტ ფორმალობისაგან, ისე რაიმე რყევასა და გაუბედაობისაგან. მთავრობის ძირითადი მიზანია გააერთიანოს ომისათვის გამოსაყენებლად ერის ყველა აქტიური ძალები და ქვეყნის დაცვა. საფრანგეთი ბოლომდის მიიყვანს ომს და ზავს მაშინ შეჰკრავს მხოლოდ, როცა გამარჯვების საშუალებით შეძლება ექნება მიიღოს უფლება მტკიცე ზავის გარანტიებისა. ამ მიზანს მოკავშირენი ურთიერთ შორის სოლიდარობით მიაღწევენ. ბრიანი მოითხოვს პარლამენტს ნდობით მოეპყრას მთავრობას და ხელი შეუწყოს მის მოქმედებას, რომელიც მზად იქნება გაუადვილოს მას კონტროლის საქმე თვის მოქმედებაში. შემდეგ დეკლარაციაში ნაჩვენებია, რომ მოკავშირეთა შეთანხმებული მოქმედება უფრო მტკიცე და გადამწყვეტი უნდა იყო ურთიერთთან აზრის თქმის გაზიარების საშუალებით. ჟოფრის წასვლას იტალიაში და ინგლისში ის მოჰყვა, რომ შეთანხმების საქმე გაცილებით უკეთ იქმნება აწმყოში და მომავალშიაც. სერბიის მოწოდებას საფრანგეთი მზად შეხვდა და დაეხმარა. საფრანგეთი და მისი მოკავშირენი არ დასტოვებენ მამაც სერბიას.

დასასრულ ბრიანი აღნიშნავს იმას, რომ გერმანიის [illegible] ბალკანეთზე მაჩვენებ[illegible] ომის მთავარ თეატრზე მისი საქმე ცუდათ არის, რადგანაც გერმანიის შეტევა შეჩერებულ იქმნა, როგორც საფრანგეთის, ისე რუსეთის ფრონტზე. შუა ევროპის სახელ წიფოთ მხოლოდ დროებით შეუძ აიცილონ დამარცხება, მაგრამ სა მოდ კი ვერა. საფრანგეთი აღფრ ნებულია გამარჯვების სურვილი გაიმარჯვებს კიდეცა.

დეკლარაციის მრავალმა ადგილმა შის კვრა გამოიწვია. დასკვნას საერთ მოწონებით შეეგება პალატა. სამინისტრო თანახმაა დაუყონებლივ იქმნეს განხილული ბარანოვსკის, რამვილის დ კონსტანის შეკითხვები. სოციალისტი ბ რანოვსკი დაბეჯითებით მოითხოვს მ წვეულ იქმნას სამხედრო საბჭო საერთო გეგმის და მოქმედების შესამუშავებლადო, მოითხოვს აგრეთვე კონტროლის გარანტიებს დახურულ კრების შემოღებით. რამვილს შეაქვს შეკითხვა ცენზურის მოქმედებაზე. კონსტანი კითხულობს, რას უპირობს მთავრობა ავსტრო-უნგრეთის იმ ქვეშევრდომებს, რომლებიც საფრანგეთში ჩარჩნენ. მათ საპასუხოდ ბრიანი ამბობს: რა გრძნობები წარმოშვა ომმა მთელ მხარეში უკვე ყველამ იცის. საფრანგეთს—სთქვა ბრიანმა—რომელმაც ამაყად გამოიარა უმძიმესი წუთები თავის ყოფისა, არ აშინებს საჯარო გადაწყვეტა იმ საკითხებისა, რომელიც მის საარსებო ინტერესებს შეეხება. ბრიანი წინადადებას აძლევს პალატას ერთსულოვანი ნდობა გამოეცხადოს მთავრობას. დაამოწმა რა, რომ ახლო მომავალში მოხდება შეთანხმება ცენზურის შესახებ, ბრიანმა შემდეგი სიტყვები სთქვა: ჩვენ შორის უთანხმოება არ უნდა არსებობდეს, მხოლოდ სრული გამარჯვება თუ დაგვაკმაყოფილებს. მომავალში დადგება წუთი, ჯერ კიდევ იქნება შორეული, როცა აღიძრება ზავის საკითხი, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ გავიმარჯვებთ და საფრანგეთისაგან ჩამოშორებული პროვინციები ჩვენ დაგვიბრუნდება, როდესაც ტანჯულ ერებს, ბელგიელებს და აგრეთვე სერბებს დაუბრუნდებათ მათი სახელმწიფოებრივი მთლიანობა. მიმდინარე ომში საფრანგეთი მსოფლიო შემოქმედია, იგი იბრძვის ცივილიზაციის და თავისუფლებისათვის. მთელ ქვეყანას მიეცემა მტკიცე მშვიდობა მხოლოდ მაშინ, როცა საფრანგეთი და მოკავშირენი განამტკიცებენ გამარჯვებით თავისუფლებას დამოუკიდებელ ერთათვის.

აკაკი და საქართველო

ჩვენ თვალთწინ ჯერ ხნობით არ დაჩრდილულა დიადი სახე ცხოველი აკაკისა. მაგრამ სახე იგი, ღვთივმშვენიერი, დღითი დღე ჰკარგავს თავის ადამიანურ წარმავალობის სინამდვილეს. და ისახება მეორე სინამდვილე—სინამდვილე გენიოსის მარადისობისა.

განა აკაკის გარდაცვალებამ არ გაამრთელა ჩვენი გაბზარული ეროვნული სახე? განა მან არ დააცხრო რამდენიმე დღით ერის საყოველდღეო ცხოვრება? განა მან არ გარდაჰქმნა იგი ერთი გრძნობით, ერთი აზრით და ერთი ნებით?

აძგერდა სული ქართველი ერისა, ვითარცა სტიქიონი, ამერეთში და იმერეთში, შავი ზღვის პირიდან დაღესტნამდის, ამაყი კავკასიონიდან არსიანის სისხლით რწყულ ქედამდის. და ძგერა იგი იყო გლოვა დიადი ადამიანის გარდაცვალებისა. აკაკი—დიადი პიროვნებაა და როგორც ასეთი იგი თავდაპირველად საქართველოს ეროვნული გენიას ხატებაა. საქართველომ მიანიჭა აკაკის თვისი სულის ზენაარი განძი. აკაკიმ არ დამარხა, ვითარცა მონამ ბოროტმა, შთანერგული, რამეთუ „ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს“, არამედ შესძინა მას და უხვად წარუდგინა თავის სულის უფალს: აკაკის ზემხედველი სმენა და გონება სწვდა სამშობლო ერის გულისნადების იდუმალებას და ცხად ჰყო მისი შემკრებელობითი აზრი და გრძნობა ცხოველი სიტყვით. და სიტყვა იგი წინასწარ მეტყველი იქცა მოქმედებად თვით აკაკის თვალთწინვე.

საბედისწერო ჟამს განიცდიდა ქართველი ერი, როდესაც იქმნებოდა აკაკის პიროვნება.

მოისპო საქართველოს სამხედრო, სამოქალაქო და საეკლესიო გამგეობა, სამართალი და განათლება... დაიშალა მასთან გადაწნული წოდებრივი წყობილება. დაინგრა ძველი, ნაცადი ფუძე ეროვნული მთლიანობისა... ახალი ფუძე კი, რომელსაც ისტორიამ არგუნა ეროვნების პატრონობა, ჯერ ხნობით დაშორებული იყო ნაციონალ ორიენტაციას. ეროვნული იდეა განიცდიდა მწვავე კრიზისს. ახალი პოლიტი[illegible]ური მდგომარეობის მიერ შექმნილი ხოლოგიური ვითარება საეჭვოდ ა ერის შემოქმედების ბუნებრივ ზრდა-განვითარებას. ძველი კულტურული ორიენტაცია ახლო აღმოსავლეთისკენ შეიცვალა ჩრდილოეთ იმპერიის გავლენით. და როგორც ყოველთვის, ახალი კულტურის შეთვისებამ მიიღო გადაგვარების ზნე: გადაგვარდა ქალაქი, გადაგვარდა საერო და სასულიერო მაღალი წოდება. და პირველი ნიშანწყალი ამ გადაგვარებისა იყო სამშობლო ენის უარისყოფა.—„შეურაცყოფით ვეპყრობოდით ამ ენას და ჩვეულებას, ამბობს მესამოციანთა დროის მოგიკანი—ნ. ნიკოლაძე.—ვიმეორებდით: ქართული ენა რაღად ვარგაო, ქართული ჩვეულება რის გამოსადეგიაო... კი არ გვეშინოდა ქართულად ხმის ამოღების, გვრცხვენოდა, გვეთაკილებოდა, გვეგონა გლეხკაცად „მუჟიკად“ ჩაგვთვლიან, თუ რუსულად არ ვისაუბრეთო“. („მამულის სიყვარული“) ეს ხომ ის დრო იყო, როდესაც ინგლისურ ხელთათმანებში გამოწყობილი მეფის მოადგილე თავს ევლებოდა მაღალ წოდებას და წრთვნიდა მათ ესტეტიურ ალღოს იტალიური ოპერით, რუსული დრამით, ცხენთა ჯირითით და ზეიმებით... ის ბრმა, მაიმუნური, გარეგანი წაბაძვა უცხო ქვეყნელების ზნისა და ცხოვრებისა, რაც ჩვენში დიდმა და ჭკუიანმა ერმოლოვმა ვერ მოახერხა,—ის ქართველებს ვორონცოვმა ალერსით თუ ოსტატობით შეაპარაო“,—ამბობს ნ. ნიკოლაძე.—ამ დროს, განაგრძობს მხცოვანი მამულიშვილი,—ორიოდე ახალგაზდა კაცი გამოგვეზარდა, რომელთაც ქადაგება დაიწყეს წერით, თუ სიტყვით, ქართველები ვართო, ქართულ ენას ნუ დავივიწყებთო, ქართული მწერლობა აღვადგინოთო“. ერთი ამ „ოთხთაგანი“ გახლდათ აკაკი,—ისეთივე „რუსეთუმე“, როგორც ილია და ნიკოლოზი... აქ **შორეულ** ჩრდილოეთში, რუსულ უნივერსიტეტის კედლებში მიეცა იდეური ფორმა აკაკის საქართველოსადმი სიყვარულს. მხოლოდ **შორს** ემპირიულ „ფურთხის ღირს“ საქართველოდან შეეძლო მას თავის უღირს თანამემამულეთა შეყვარება იმ დაუშრეტელი სიყვარულით, რომელიც აღვივებს აკაკის შემოქმედებას მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. აკაკიმ შეიყვარა საქართველოს შორეული, იდეალური სახე... მან შეიყვარა ერი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდა მტერს, ოთხმხრივ შემოსეულს, თავის მიწის, სჯულის და სახელმწიფოს თვითარსებობისათვის და ეროვნულ მთლიანობისათვის. მესამოციან წლებში ვითომდა განხორციელდა ეს მთლიანობა. მეთორმეტე საუკუნის შემდეგ პირველად წარუდგნენ ქართველთ შეერთებულნი პოლიტიკურად ქართლ-კახეთი, იმერეთი, მესხეთი, აფხაზეთი. უცხო იმპერიის სტრატეგიამ და დიპლომატიამ შეაერთა ისტორიულნი ნაწილნი საქართველოსი. მაგრამ თვით სული ქართველი ეროვნებისა მიმქრალიყო და ძლივს-და ღვივოდა. სჩანდა არა მთელი, არამედ მხოლოდ ნაწილნი. ეროვნების კულტი ელოდა თავის ახალ ქურუმთ... მხოლოდ წინასწარმეტყველს ძალუძდა ეროვნული სულით ზიარება და მით გაკაჟებული პოეტური შემოქმედებით ანთება ცეცხლოვან სვეტისა უჟამობის წყვდიადში დაბნეულ თანამემამულეთათვის. ასეთი წინასწარმეტყველი იყო აკაკი, მან უმღერა ქართველ ერს ის ახალი სიმღერა, რომელიც ხატავდა საქართველოს ახალ სახეს, ახალ გრძნობათ, ფიქრთ და ლტოლვილებათ. აკაკი სწვდა ახალ საქართველოს გულისნადებს, ივნო მისი ახალი ტანჯვა და არ დაივიწყა ძველიც. თავისი სულიერი სიღრმით მან მრავალი რამ შეიყვარა, მრავალი რამ შეიძულა და ყოველივეს მიხვდა.

ასეთია ეროვნული სახე აკაკის შემოქმედებისა; მაგრამ მას, როგორც ყოველივე გენიოსს, აქვს მეორე სახეც—სახე საკაცობრიო. გათიშვა ამ ორ სახეთა ურთიერთისაგან შეუძლებელია, სწორედ ისე როგორც გათიშვა **თანამედროვე** და **სამარადისო** მომენტებისა... ჯერ კიდევ გიოტემ სთქვა: Wer für die Besten seiue Zeiten gelebt Der hat gelellbx für alle Zelfen...

— „ვინც უაღრესად განიცდის თანადროულს, იგი სცხოვრობს სამარადისოდ, ყოველი დროისთვისო“... გარნა **თანადროობის** განცდას და მის ხელოვნურად გარდაქმნას ყოველთვის **ეროვნული** სახე აქვს... ამიტომაც თანადროულ ეროვნულია ყოველივე განძი საკაცობრიო, სამარადისო შემოქმედებისა... სერვანტესის რომანი უაღრესად თანადროულია და უაღრესად ესპანიური, მაგრამ მისი გმირის თავგადასავალი საკაცობრიო მნიშვნელობისაა. რუსთველის პოემა ხორცშესხმული სინტეზია მეთორმეტე საუკუნის ქართველთა ეროვნული ცხოვრებისა, მაგრამ იგი იმავე დროს „სამარადისო ძეგლია“ ქართველთა გენიის შემოქმედებისა. და ასე, უაღრესი ნაყოფი ყოველივე ერის თანადროულ ფსიხიურ კულტურისა—საკაცობრიო სამკვიდრებელია. კაცობრიობის ხოროში რომელშიაც ისმიან სამარადისო ხმანი ეროვნებათა ცხოველმყოფელ სულისა, პირველად ჩაება ქართველობა მეთორმეტე საუკუნეში... მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში პოლიტიკურად და სოციალურად გაერთიანებულმა, მაგრამ სულით გაყრილმა საქართველომ აკაკის შემოქმედებით ხელახლა შეაბა კაცობრიობის სამარადისო ხოროს თვისი ცხოველი ხმანი. და ხმა ესე, როგორც რუსთაველისა, ქართველი ერის შემოქმედებითი ძალით იყო გაკაჟებული.

სისხლით დიდგვაროვანმა, აღზრდილმა სათავადო ბუდეში, რომელსაც ახლაც მედიდურად დაჰყურებს ციხედარბაზი—„მოდიმნახე,“—აკაკი სიყმაწვილეშივე ეზიარა ხალხის მხატვრულ შემოქმედების ცხოველმყოფელ ნაკადულს, შეჰკრიფა წარუხოცელი შთაბეჭდილებანი ბუნების და ადამიანის ცხოვრებიდან და გარდაქმნა ისინი ქართულ სახეებში. სახიმეტყველება აკაკისა იგივე ქართული ეროვნული სახიმეტყველებაა, გარნა არა მარტივი გაგრძობა არსებულ ხალხურ ეპოსისა და ლირიკისა, არამედ ის ლირიკაა, რომელსაც შეჰქმნიდა თვით ქართველი ერი, რომ იგი ყოფილიყო თავისუფალ განვითარების პირობებში. და ამიტომაც აკაკის ზენაარი ნიჭი წინასწარმეტყველებაა, მიუწდომელი ჯერ ხნობით უმრავლესობისათვის.

აკაკი—ლირიკაა à oufrance... თავდაპირველად მის ლირიკულ ლექსებში ფეთქს ის ზეგარდმო ნიჭი—ღვთიური გენია, რომლის წყალობით წინასწარმეტყველებს მგოსანი. აკაკის სულის მონათესავე დასავლეთით—ჰაინრიხ ჰაინე ასე მღერს მგოსანის ბუნებაზე:

„ხელოვნებაში, როგორც ცხოვრებაში, ყურადსაღებია მხოლოდ წყალობა ღვთისა“... ამგვარ მგოსანს, ზეგარდმო-მირონცხებულს ვუწოდებთ ჩვენ გენიოსს... იგი უგებს პასუხს მხოლოდ ღმერთს და არა ხალხს... ხელოვნებაში, როგორც ცხოვრებაში ხალხს არ ძალუძს ჩვენი განკითხვა— გარნა მოკვლა კი“...*)

ასეთია აკაკის მრწამსიც; თავის „ქებათ ქებაში„ იგი მღერს—„შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა!
შენგან მგოსანი ფრთებ შესხმული ვარ
და მონავარდე ალმა ფრენითა“...

თ. კიტა აბაშიძეს, რომლის აზრით აკაკი თავდაპირველად რეალისტი-ლირიკოსია და არა რომანტიკოსი, რაღაც „ატავისტურ“ განცდათ მიაჩნია რეალისტ მგოსანის ასეთი „მედიდურობა“ გარნა შეცდომაა აკაკის პოეტური მრწამსის ნაკლებ რომანტიულად ცნობა, ვიდრე ილიასი და ბარათაშვილისა. თუ ბარათაშვილმა პოეზია „ღვთის ტაძრად“ მიიჩნია, სად ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი“, თუ ილიამ ამაყად აღიარა: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“-ო, განა აკაკი იმავ „ქებათა ქებაში“ არ მღერის: „და ახლა მე ვგრძნობ საიდუმლოდ ვცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!
რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება ძლევა მოსილად გარდამიცვალაო?!“..

აკაკი პირდაპირ ადარებს ჩანგის ბგერას და ლოცვას და ორთავეს დასაბამად ზეგარდმო შთაგონებას აღიარებს. მისთვის როგორც ლოცვა, ისე სიმღერა—აღელვებულ სულის მძაფრი აქტია... ამიტომაც აკაკის ლექსთა კითხვის დროს ჩვენ ვგრძნობთ, როგორ ფეთქს მისი სული და როგორ ყვავიან მისგან გამოცხადებულნი ცხოველი ხმანი. სწორედ ისე, როგორც ფეთქს სიმღერა ხალხური, სიმღერა ყრმათა და მგოსანთა“. ეს ჰაინესებური დახასიათება პოეტისა ზედ გამოჭრილია აკაკის შემოქმედებაზე.

ნათესავობა აკაკის და ჰაინეს შემოქმედებისა არ გამოიწურება ამით. ორთავეს ლირიკაში არიან ჩაწნული რელიგიური ჰანგები, გამოწვეულნი მგოსანთა ერთგვარი განცდით. როგორც ჰაინე, აკაკი გრძნობს ზეკაციურ, კოსმიურ ძალას და აძლევს მას ხორციელ სახეს:—

„შემოქმედების სახევ, ბუნებავ, ამბობს აკაკი, ვინ ჩაგისახა ეგ ძლიერება?
ნეტავ თუ იყოს ღვთისა ქმნილება,
გჭვრეტდეს და არ გრძნოს მან ნეტარება“.

მეცხრამეტე საუკუნეს ქართულ პოეზიაში უცხოა ასეთი რელიგიური ჰანგები და მით უფრო დიადია აკაკის ლტოლვილება საიდუმლო, იმაქვეყნიურ სამყაროსკენ, რომელზედაც მგოსანი თეოსოფიურად მღერს:

სადაც ჭკუა სცდება და ტყუა,
იქ მხოლოდ, გული გრძნობს,
რომ არის ზეცა, ალვსილი
რაღაც ძალითა საგრძნობით,
და ეს ქვეყანა ყოველგნით, ყველგანა
თავს უხრის შემქნელს
მადლით საგრძნობით!“

ღირსეული მემკვიდრე ბარათაშვილის, გრიგორ ორბელიანის და ჭავჭავაძის, აკაკი რომანტიკოსია თავის ურეალისტურ ლექსებშიაც. რომანტიულია მისი პოეტური მრწამსი, რომანტიულია მისი ლირიკა, როგორც პატრიოტული, ისე რელიგიური, ელეგიური და ეროტიული; განა ილიაზე უფრო თავმდაბალი წარმოდგენისაა პოეტზე აკაკი. როდესაც ამაყად სთხოვს რუსთველს:

„სულმნათო! ჩვენცა გვასწავლე
ეგ საიდუმლო ჟღერისა
რომ ამისრულდეს წადილი,
მგოსანი ვიქმნე ერისა“-ო...

და იგი მზად არის სანთელივით დადნეს ერის მგოსნობისათვის. ხატის წინ ანთებული სანთელი ხომ

„მყუდროდ, უხმოთ და უძრავათ
დნება ვით მსხვერპლი დიადი
რო მადლით გაასპეტაკოს
თვალ უწდომელი წყვდიადი“.

და მეც, ამბობს აკაკი,

„რაღაც უცნაურ ერთობას
ვხედავ სანთელს და ჩემ შუა
მხოლოდ ვგრძნობ...
თვარა ვერ სწვდება
ჩემი გონება და ჭკუა,
სანთელი მგოსნის ხატია,
სიცოცხლე მოკლე პატრუქი...
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე—მთელი ქვეყანა
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე
არ შემიძლია მეც განა?“.

აკაკი დნებოდა, იწოდა ვითარც და სანთელი, მთელი სიცოცხლე ცავ ხატის წინაშე... ხატი ეს—ის ფოა, ის ნესტანი საქართველო, რ საც ასე ემუდარება პოეტი:

— მშვენიერო, შენ გეტრფი,
შენი მონა ერთგული
შენთვის სულდგმულს შენგანვე,
შენთვის მიძგერს ეს გული.
მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯდომარე,
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე!

. . . . .

გაუმაგრდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა.
გშვენის ნესტანდარეჯნის
მაგალითი, მზეობა.

(დასასრული იქნება)

გრ. ვეშაპელი.

---

*) რადგანაც გერმანული ტექსტი ვერ აეწყო, ამიტომაც მოგვყავს ქართული თარგმანი პროზად: რედ.

პალატამ დაადგინა ბრიანის სიტყვა პლაკატების საშუალებით ქუჩებზე გაიკრას. 515 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ერთისა პალატა მთავრობას ნდობას უცხადებს და შემდეგ საკითხზე გადადის.

იგივე დეკლარაცია ვივიანმა წაიკითხა სენატში.

ჩვენებური ფარისევლები

როდესაც ქრისტეს წინ ფარისეველნი წარსდგნენ და დამცინავი ღიმილით ეკითხებოდნენ „რა არის ჭეშმარიტებაო", ეგონათ, დიდი რამ სიბრძნე ჩავიდინეთ და მკვეხარა იესო გავაცრუეთო. მათ ვერაფრით აეხსნათ იესოს დუმილი: ეს მის უვიცობის ნიშნად ჩასთვალეს. არა ნაკლებ გესლიანი შეკითხვა იყო, როდესაც იმავე დამცინავი ღიმილით მიართვეს რომაული ფული, თუ ვის სასარგებლოდ გაეღოთ იგი, კეისრისა თუ ებრაელთა ღმერთ—იეგობასთვის. ამით ჰსურდათ იესო ორჭოფ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ. ასეთი ფარისევლები ჩვენც გვყვანან სომხების სახით, და როცა ჰსურთ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენონ, სწორედ ისეთს კითხვებს დაგვიყენებენ, რომ მაზე პასუხის გაცემა ორპირად გვჭრიდეს. „რას უპირობთ სომხებს და... **რუსებს?..** გადმოსახლებულ უცხოელ ელემენტებს და... **რუსებს**". ასეთი კითხვებით გული ბევრჯელ უფონიათ და იფონებენ კიდეც და თან ულვაშ ქვეშ იღიმებიან კამსარაკან-ჩალხუშიანი და ამ ბოლო დროს „ტიფ. ლისტ." ფურცლებზე უცნაურად გამომტყვარი ვინმე „არმიანინი". ასე ჰგონიათ, დაგვიჭირეს, გაიმარჯვეს. ჩვენს დუმილს დამარცხებულადა სთვლიან. თუ ამოვიღებთ ხმას, იციან, რომ ეს პასუხი ან არ დაიბეჭდება და თუ დაიბეჭდა, თვითვე ჩვენ ვივნებთ, როგორც რუსთველი ამბობს „ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო". აი ეხლაც, აიღეთ ბ-ნ არმიანინის წერილი, რა არის თუ არა ფარისევლური შეკითხვა: ,,საინტერესოა ვიცოდეთ, —ამბობს იგი,—რატომ სომხებს არა აქვთ უფლება კავკასია და ამიერ კავკასია თავიანთ სამშობლოდ აღიარონ, და, ბოლოს, რა სიტყვის დაძვრა შეიძლება ამა თუ იმ ხალხის ბატონ-პატრონობაზე, სადაც ერთად ერთ პატრონად **სახელმწიფო გამოდის**".

დააკვირდით ამ უკანასკნელ სიტყვას, რასაც ჩვენ ხაზი გავუსვით „სადაც ერთად-ერთ პატრონად **სახელმწიფო გამოდის**". რა არის ეს, თუ არა ფარისევლური კითხვის დასმა? „კეისარი თუ იეგობა?" „ჩვენ თუ სახელმწიფო?" მოდით და ახლა გაეცით პასუხი. დიდი ბრძენი პოლიტიკოსები არიან ეს სომხები, მეტად დიდი!

მაგრამ ვეცდებით თუნდ მცირედით პასუხი გავცეთ. მთელი დავა სომხებსა და ჩვენს შუა ამ ბოლო დროს ამ გადმოსახლებულთა შესახებ ასტყდა. ჯერ ჟურნალი „კლდე" წინააღუდგა ამ მოვლენას. წინააღუდგა არა იმიტომ, რომ ეს სომხეთა სიძულვილით მოსდიოდა, არამედ იმიტომ, რომ ამას მავნებლად სთვლიდნენ. ჟურნალს საბუთად მოჰყავდა ჩვენი ტერიტორიის სივიწროე, ეკონომიური უმწეობა. მშიერთა და გამოქცეულთა ტალღა, ტალღა დიდრიცხოვანი, ჩვენ ერთგვარ წალეკას გვიქადდა. ჩვენი ხალხი მეტად ღარიბია. არ მოეპოვება ზედმეტი, რომ სხვაც გაძღოს, წავიდა ჩვენი მამაპაპური დოვლათის სიუხვე, როცა გამვლელ-გამომვლელს ვეპატიჟებოდით, წავიდა ის დროც, როცა ნეტარ ხსენებული მეფე ერეკლენი სერიდან მოყოლებული ამა თუ იმ ბუჩქამდე უწყალობებდნენ არა თუ თვისიანებს, არამედ თუნდა უცხო ელემენტებს, ამ შემთხვევაში, ვთქვათ, სომხებს. „კლდე" სჩიოდა ჩვენს სილატაკეს. მშიერს მშიერი აგვეკიდოს, სამარეში ჩავცვივდებითო. პირიქით, ჩვენ მოხარული ვიყავით თუ ეს ტალღა სხვა გასავალს იპოვნიდა, სადაც უმჯობესად ეცხოვრებოდათ. ჩვენ გვაღელვებდა ჩვენი საკუთარი არსებობის დარდი, ჩვენ გვაღელვებდა არა ნაკლებ ის მაცდური მოვლენა, რომელიც ამ „გამოქცეულთა სახით" იჩენდა თავს და მოხერხებული სისტემით „გამოქცეულთა" სახით მოედინებოდა მშიერ-მწყურვალთა ლაშქარი თვით ისეთი ადგილებიდან, სადაც არც გაჭირვება იყო, არც ოსმალთა მახვილი ტრიალებდა. ერთად-ერთი მიზეზი მათი აქეთ წამოსვლისა გახლდათ ის, რომ საშუალებას აძლევდნენ აქ წამოსვლისას და ჰპირდებოდნენ გათბობას და გაძღომას. გვახსოვს „კავკასკოე სლოვოს" უებარი რეცეპტები, როდესაც ამ გამოქცეულთ ათ ათ კომლობით უპირებდა ჩვენს სოფლებში გახიზვნას, რა არის მეურნეობა შევასწავლოთო. და ყველა ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ჩვენს საკუთარ სისხლ-ხორცისათვის ვერ გვიპატრონებია. ჩვენ მრავლად მოგვეპოვება იმის საბუთები და მეფის ნაცვლის კანცელარიაშიაც ბევრი დოკუმენტია იმისი, თუ ჩვენი უმიწაწყლო გლეხკაცობა, ხშირად ორას-სამასი კომლი როგორ ადგილს ვერ შოულობდა დასასახლებლად და როგორ უპასუხებდნენ კანცელარიიდან: ადგილი არ მოიპოვებაო! აი ის დიდი კოზირი, რომელიც ამ საკითხს თავის თავად სჭრის. ჩვენი ხალხისთვის არ არსებობს თავისუფალი ადგილი... ergo, მით უმეტეს არ იქნება უცხო ელემენტთათვის, იმ უცხო ელემენტთათვის, რომელნიც ასს და ორას კომლს კი არ შეადგენდა, არამედ ათასებს. გვითხარით, სად გსურდათ დაგვესახლებინათ ეს ათასეული კომლეული და რითი უპირებდით, ან რა გარანტიას აძლევდით, რომ შეეძლებოდათ აქ კეთილი და უზრუნველი ცხოვრება? აი, ჩვენი ტკივილი ესაა და არა სომეხი ერის სიძულვილი, თორემ რა ბედენაა ბ-ნ ჩალხუშიან-კამსარაკანთა ცილისწამება, ვითომც ჩვენ არა გვემეტებოდეს რა სომეხთათვის და თვით მათი ავტონომიის წინააღმდეგიც ვყოფილიყავით, კატეგორიულად ვაცხადებთ: ამის წინააღმდეგი ჩვენ არა გვაქვს რა და არც გვქონია. პირიქით, იმავე ჟურნალ „კლდის" ფურცლებზე ჩვენ სიხარულით მივეგებეთ სომეხთა ავტონომიას. თუ ასეთი მიეცათ, მაშინ აქედან ბევრი მოისურვებს თავის სამშობლო ქვეყანაში გადასახლებას, რადგანაც იქ უფრო მეტს თავისუფლებასა ნახვენო. არა ჩვენ, ქართველები, არამედ სწორედ რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია, როგორც მაგალითად, მილიუკოვი გახლდათ თქვენი საოცნებო იდეალების განხორციელების წინააღმდეგი, დიახ, სწორედ ის ინტელიგენცია, რომელსაც ცნობილმა ჩალხუშიანმა ცნობილი წერილით მიჰმართა ერთხელ ჩვენსა და მათს მოსარიგებლად. ეს იცის სომხის ერმა, იციან მისმა წარმომადგენლებმაც, მაგრამ მაინც საჭიროდ მიაჩნიათ მოგვდგენ და საქვეყნოდ გვიძახონ შოვინისტები, კაცი ჭამიები და როდესაც კონკრეტულ კითხვებს დაუყენებთ, გიპასუხებენ და თან ფარისევლურად იღიმებიან: „რას უშვრებით ამა და იმ ერს, მაგალითად... რუსებს..." ან და „ბატონ-პატრონი აქ ხომ სახელმწიფოა, მაშ რას ვდავობთ..." არა, ფარისევლობა შორს ვერ წავა, მეტს ველარ ვიტყვით.

დ. კ—ძე.

საზოგადოებანი და კრებები

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება.

22 ოქტომბერს კრება ჰქონდა საზოგადოების გამგეობას, რომელზედაც განხილულ იქმნა მომავალ 1916 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის პროექტი. ამ პროექტით მომავალ წელში საზოგადოებას ექნება შემოსავალი:

საწევრო გადასახადი 500 მან., ყულაბებით შეგროვილი 150 მან., სეირნობისა და კონცერტის გამართვით 2.000 მან., განყოფილებათა შემოსავლის % 2.500 მან., ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისაგან 5.000 მან., თბილისის ქალაქის თვითმართველობისაგან ნავთლუღის სკოლის შესანახად 500 მან., წინარეხის საზოგადოებისაგან ადგილობრივ სკოლისათვის 80 მან., სწავლის ფული ნავთლუღის სკოლის მოსწავლეთაგან 60 მან., სხვა და სხვა შემოწირულება 1.500 მან., თავნი ფულის სარგებელი და სასტიპენდიო ზუბალაშვილების სახელობისა 20.100 მან., წიგნის მაღაზიის შემოსავალი 5.100 მან., წიგნის გამომცემლობიდან 9.600 მან.. წარსული წლის შემოსავლის ნაშთი 2.000 მან., საგურამოს მამულის შემოსავალი 1.500 მან., სათადარიგო თანხიდან ბათომის სკოლის შესანახად 947 მან., სულ 51.537 მან.

გასავალი: ადმინისტრატიულ სექციისა 31.203 მან. 53 კაპ., სასკოლო სექციისა 13.737 მან., სამუზეიმო სექციის 2.500 მან., ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების 3.390 მან., წიგნების გამომცემელ სექციისა 3.000 მან. სულ 53.830 მან. 53 კაპ. დეფიციტი არის მოსალოდნელი 2.293 მან. 53 კაპ.

ეს ხარჯთაღრიცხვა წარედგინების საზოგადოების წევრთა წლიურ საზოგადო კრებას 21 ნოემბერს.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.

საზოგადოების გამგეობამ 22 ოქტომბერს დაადგინა: 1) სამსონ ფირცხალავას ლექცია, რომელიც ხვალ იმართება ძმ. ესიკოვების ნაქონ ცირკის შენობაში საზოგადოების ღონისძიებათა გასადიდებლად, განმეორდეს შემდეგ კვირას, 1 ნოემბერს, „ახალი კლუბის" დარბაზში; 2) სოფ. მერისის (აჭარაში) სკოლის მოსწავლეთა დახმარების შესახებ მიმართოს კავკასიის ქალაქთა კავშირს. (ხსენებული სკოლის მოსწავლეებს როგორც ვიცით, სჭირდებათ ტანთსაცმელი და ფეხსაცმელი); 3) მოსთხოვოს ცნობები თავისს განყოფილებებს, რომელ სოფელში რამდენი უნდა გაიგზავნოს ფული ამ თანხიდან, რომელიც საზოგადოების თაოსნობით შეგროვდა წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის; 4) მოითხოვოს ზუგდიდის განყოფილებისაგან ცნობები შესახებ იმისა, შეიძლება თუ არა ზღვით სიმინდის მოტანა ანაკლიამდე.

კვირის დამატებაში მოთავსებული იქმნება ,,ქალი გრძნეული'' სანდრო შანშიაშვილისა, ხუთი კარიკატურა: ,,ფქვილი, ვაგონები და დ. ლუკაშვილი''. სათავე ,,ზვირთისა'' და სხვა.

ახალი ამბავი

◆ **წ.-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი** ვალდებულნი არიან, თავიანთ შემოსავლის 20 პროც. ყოველ წლობით გამოუგზავნონ საზოგადოების მთავარ გამგეობას. მაგრამ ზოგიერთ განყოფილებისათვის სამძიმო არის აღნიშნულ ფულის გადახდა, რის გამო სავალდებულო გადასახადი დროზე ვერ შემოაქვთ და ვალში ვარდებიან. ამ გარემოების გამო საზოგადოების მთავარ გამგეობას აზრად აქვს შეიმუშაოს განყოფილებათათვის შემდეგი ნორმა: ის განყოფილებანი, რომელთაც წლიურად 500 მანეთზე ნაკლები შემოსავალი აქვთ, სრულიად განთავისუფლებულ იქნებიან გადასახადისაგან; განყოფილება, რომელსაც წლიური შემოსავალი აქვს ხუთასიდან ათას მანეთამდე, მთავარ გამგეობის სასარგებლოდ იხდის შემოსავლის 5 პროცენტს; განყოფილება, რომლის წლიური შემოსავალი 1.000 მანეთს აღემატება, იხდის შემოსავლის 10 პროცენტს. თუ ეს ნორმა გატარდა გამგეობაში და საზოგადო კრებამაც დაამტკიცა, საზოგადოებას შემოუვა განყოფილებათაგან 5 პროცენტიანი გადასახადით 179 მან. და 10 პროცენტიანით 2306 მან., სულ 2.485 მან. და ამასთანავე გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნებიან, დროებით მაინც, შემდეგი განყოფილებანი: ალაგირისა, ახალციხისა, ვანისა, ლიხაურისა, ონისა, ოჩამჩირისა, სამტრედიისა, ქვემო მაჩხაანისა და ჭიათურისა.

◆ **ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვი და გამგეობის წევრს გ. დ. ჟურული,** რომელნიც ბათუმში არიან წასული გადმოხვეწილთა მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, დღეს მოვლენ თბილისში.

◆ **მეფის ნაცვლის კანცელარიამ** გადასცა კავკასიის ქალაქთა კავშირის კომიტეტს ტალონი 683,700 მანეთისა იმ ერთი მილიონი მანეთიდან, რომელიც შინაურ საქმეთა სამინისტრის მიერ გადადებულ იყო სხვა და სხვა გადამდებ სენთან საბრძოლველად.

◆ **კრების გადადება.** 22 ოქტომბერს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება არ შესდგა.

◆ **ხოლერა.** 22 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მოიყვანეს ხოლერიანი 2 კაცი, გარდაიცვალა 1, გამოეწერა ლაზარეთიდან 3 და გუშინ, 23 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდა ხოლერიანი 49 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** გუშინ, 23 ოქტომბერს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 99, სახადიანი 54, საოფლიანი 39, ხუნაგიანი 28, ყვავილიანი 3 და მუცელაიანი 5 კაცი.

◆ **ამხანაგობა სოფლად.** სოფ. ვაყაში (გორის მაზრა) შემდგარმა სასოფლო სამეურნეო ამხანაგობამ, რომლის მიზანია, ურთიერთი დახმარებით გააუმჯობესონ ადგილობრივი სოფლის მეურნეობა, უკვე მიიღო გუბერნატორისაგან დამტკიცებული წესდება. ამხანაგობას კრება ჰქონდა 18 ამა თვეს. არჩეულ იქმნა გამგეობა, რომელშიაც შედიან თავადის ასული თამ. გრ. ბეგთაბეგიშვილი—(თავმჯდომარე), ნ. პ. მაჭარაშვილი, ზ. მ. აკოფოვი, სოსანა გვარამაძე და იაგორა ხითაროვი; კანდიდატებად—ალ. ოგანოვი და მარ. ხითაროვი. საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ნინო გრ. ტყემალაძისა. კრებამ დაადგინა შეგროვებულ იქმნას საწევრო ფული (თითო წევრზე ჩასაწერი 1 მან და წლიური 1 მან.) და იმ თანხით, რომელიც შემოვიდა ამხანაგობის სასარგებლოდ (დაბა სურამში) ქ-ნ ტყემალაძის თაოსნობით გამართულ საღამოდან, შეიძინოს 4 რკინის გუთანი. ეს გუთნები უკვე იყიდეს ამხანაგობის წარმომადგენლებმა და გაგზავნეს.

◆ **მინდვრის თაგვი.** როგორც აგრონომმა ელ. კარბელაშვილმა გადმოგვცა, ქართლის ბევრს სოფელში ბლომად გაჩენილა მინდვრის თაგვი. განსაკუთრებული ძალა მოიცეს თაგვებმა ურწყავ ადგილებში, მაგალითად, ოსიაურსა, სატივესა, ვაყასა, დოლლაურსა, ოქონის ხეობაში, დედოფლის მინდორზე და სხ.

◆ **ფრინველების ჭირი.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ მიღებულ ცნობებით, თითქმის მთელ ქართლში მოდებული არის შინაურ ფრინველების ჭირი. წამლობასთან ერთად საჭიროა სავალდებულო დადგენილება, რომ დახოცილი ფრინველები მიწაში იმარხებოდნენ.

◆ **მზრუნველობა სოფელზე.** სოფ. ვაყის სამეურნეო ამხანაგობამ გადასწყვიტა გააკეთოს ხიდები ალის ფრონეზე და სურამულაზე. ხიდებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალის უსასყიდლოდ შოვნა აღუთქვა სოფელს ადგილობრივმა ბოქაულმა ალექსანდრე მაისურაძემ, ქვას იძლევა უსასყიდლოდ თავადის ქალი თამარ გრ. ბეგთაბეგიშვილი, ხოლო ურემი და მუშა ხელი გლეხების მხრივ იქნება გამოყვანილი.

◆ **მშობელთა წრე.** ლევანდოვსკის გიმნაზიასთან არსებულმა მშობელთა წრემ 22 ოქტომბერს აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ არჩეულია გ. გ. კაფიევი, თავმჯდომარის ამხანაგად ს. ა. სოლომონოვი, მდივნად კნ. ქ. ი. გურამიშვილისა, ხაზინადრად ნ. მუსხელიშვილისა. აგრედვე არჩეულ იქმნენ წარმომადგენლებად მშობელთა ცენტრალ საბჭოში ა. ქ. გედევანი, ი. ნ. ხუნუნცი და გ. გ. კაფიევი. კრებამ შემდეგ აირჩია საბიბლიოთეკო და საექსკურსიო კომისიები.

17 ოქტომბრის მანიფესტი და რუსული პრესა.

ამ თვის 17 ოქტომბერს ათი წელიწადი შესრულდა, რაც რუსეთში კონსტიტუცია შემოიღეს. რუსეთის პრესამ ამ ღირს შესანიშნავ დღეს მრავალი წერილი უძღვნა. შეუძლებელია ყველა გაზეთის აზრის მოყვანა, მოგვყავს ისეთი გაზეთების აზრი, რომლებიც უფრო სავსებით გამოხატავენ რუსულ საზოგადოების სულის კვეთებას:

ნოვოე ვრემია:

ომი ეგზამენია ხალხებისთვის, ჩვენთვის კი სკოლაც შინაგანის მართვა-გამგეობისა. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ამ სკოლაში ვისწავლეთ, თუმცა ამავ დროს ჩვენი მოქალაქობრივობა საკმაოთ მომზადებული არ იყო ამისთვის. მაგრამ მაინც ამის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ ის ისტორიული აქტი გვაქვს, რომელმაც ათი წლის წინეთ რუსეთი თვითმართველობისკენ მოიწვია. სისხლის წვიმების დროს ჩვენ განსაკუთრებულის მადლობით უნდა მოვიგონოთ 17 ოქტომბრის მანიფესტი. ამის ბრალია, რომ რუსეთს შეუძლიან იმ წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც უწევს ის თავის ძლიერ მტერს. უკანასკნელ წლებში, ომის წინ და მის დაწყების თავში 17 ოქტომბრის მანიფესტს ყურადღებას არ აქცევდნენ. და როცა ომი დაიწყო, მისი სრული ლიკვიდაციაც მოახდინეს, ეს არის მიზეზი. რომ შედარებით ასე სუსტია ძალა ჩვენის წინააღმდეგობისა.

რეჩი:

17 ოქტომბერმა საზოგადოებრივ ძალებს დიდი იარაღი მისცა ხელში და მით გააძლიერა მისი პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე. ვერავითარი მტერი ვერ შეაშინებს დიდ რუსეთს, თუ ღირსი ვიქნებით იმ დიდ ეპოხისა, რომელიც წილად გხვდა ჩვენ და რომელიც ას წლობით განსაზღვრავს ხალხის ბედს.

დენი:

რუსეთი ჩვენია, ჩვენ მას დავიცავთ და მოვაწყობთ—ასეთია ფარული ძალა, რომელმაც ათი წლის წინეთ მოამზადა ცვლილება 17 ოქტომბრისა, ადრე იქნება, თუ გვიან ეს მაცოცხლებელი ძალა არსებითად, გაიმარჯვებს ყველა დაბრკოლებაზედ, რაც უნდა ძნელი იყოს მათი გადალახვა.

კოლოკოლი:

ბევრი რამ მანიფესტიდან თავისუფლებათა შესახებ ჯერ არ არის განხორციელებული, ან განხორციელებულია მკრთალათ. მაგრამ შემოქმედება არა ,,ჩინოვნიკურ'' რუსეთისა თვით აღრმავებს კარებს, რომელიც ამოჭრილია 17 ოქტომბრის მანიფესტით ბიუროკრატიულ სახელმწიფოში. და შორს არ არის ის საათი როდესაც საზოგადოებრივობა მიაღწევს საწადელს სამშობლოსა და ხელმწიფე-ბატონის საკეთილდღეოთ.

რუსის ჯარის გამარჯვება, რომელსაც ზურგს უმაგრებს გაერთიანებული ხალხი, ეს გამარჯვებაა 17 ოქტომბრის მანიფესტისა.

ჩემი პასუხი

არჩილ ჯაჯანაშვილმა ვითომც ტყუილში დამიჭირა! საკვირველი ის არის რომ „ზოგის ბამბა ჩხრიალებს და ზოგის კაკალიც არა". მე განვახსენებდი ერთს ძველ ცოდვას, რომელიც მოხდა ამ ოთხი წლის წინად, რომ არჩილ ჯაჯანაშვილის მეთაურობით შეთქმულობა გავმართეთ სამ კაპეიკიან გაზეთის „სინათლის" წინააღმდეგ. გაზეთმა „სინათლემ" 1911 წლის დასაწყისში იწყო გამოსვლა. მაშინვე სახალხოელები საგონებელში ჩააგდო, ვაი თუ სამ კაპეიკიანმა „სინათლემ" მეტოქეობა გაუწიოს შაურიანს „სახალხოს" და მისი ბაზარი დასცესო! რომ ეს ასე იყო და ასე ვთათბირობდით რედაქციაში, და „სახალხოს" თანამგრძნობთა შორის, ამ სიმართლის აღვიარებას, რასაკვირველია, ბ. ჯაჯანაშვილი არ ისურვებს, რადგან ამით მისი ჩუმი ბოროტება აშკარავდება. მაგრამ ,,ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დედამიწა დასამალად გადაეფაროს!" მე შემიძლიან ბ. არჩილი ჯაჯანაშვილი მოწმეთა ჩვენებით დავარწმუნო, რომ შეთქმულობა გაზეთ ,,სინათლის'' წინააღმდეგ არსებობდა.

არჩილ ჯაჯანაშვილი მიპასუხებს: იმ დროს როდესაც „ხალხი" გამოდიოდა, ფეხს იკიდებდა კაპეიკიანი და ორ კაპეიკიანი გაზეთები. „სახალხოს" რედაქციას შინაარსი ამ გაზეთებისა დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნდა და გადასწყვიტა, გამოეცა ორ კაპეიკიანი გაზეთი (ხალხი) ,,სახალხოს'' შემოკლებულის მასალითა!"

1911 წ. 5 თებერვალს „სახალხო გაზეთში" გამოცხადდა: „სინათლის" რედაქტორი სისხლის სამართალში მისცესო. ჩვენ კარგად ვიცოდით, ბ-ნი როსტომაშვილი თუ ბელგას არ შეიტანდა, შეიპყრობდნენ. ამავე დროს გვეუბნებოდნენ გაზეთი „სინათლე" კვლავ გამოვა განახლებულ რედაქციით, სადაც მონაწილეობას მიიღებენ: შიო არაგვისპირელი, ია ეკალაძე, ქ. ტყავაძე, ს. მგალობლიშვილი, დ. ნახუცრიშვილი და სხვა ჩვენი მოღვაწენი.

ამ ამბავმა უფრო შეუკეთა არ. ჯაჯანაშვილს და 1911 წ. 8 **თებერვალს**, ე. ი. სამი დღის შემდეგ „სახალხოში" განცხადება დაისტამბა: დღეიდან ორ კაპეიკიანი გაზეთი „ხალხი" გამოდისო. ასე მსწრაფლ მიტომ გადასწყვიტა სახალხომ", რომ განახლებულ „სინათლის'' რედაქციისთვის დაესწრო და კონკურენციით მოესპო. თვით მკითხველმაც განსაჯოს, სერიოზულ შაურიან გაზეთს ,,სახალხოს'' ჰბეჭდავდნენ და ამავე დროს ,,სახალხოს'' რედაქციავე სცემს ორ კაპეიკიან გაზეთს! რა მიზანი უნდა ჰქონოდა? განა ის, რომ თავიანთი შაურიანი ,,სახალხო'' დაემხოთ იაფ ფასიან გამოცემით? ეს ხომ ყელის გამოჭრა იქნებოდა! მიზანი ერთი იყო: დროებით ,,სახალხოს'' რაც უნდა მოსვლოდა, ოღონდ სხვის სამკაპეიკიანი გაზეთი კი მოსპობილიყო.

მაგრამ როგორც თვით ჯაჯანაშვილი ამბობს, „მკითხველმა ისევ დიდი გაზეთის ყიდვა ამჯობინა. რაღაც ორი კვირის განმავლობაში გამომცემლებმა თხუთმეტ თუმნამდე იზარალეს და გაზეთიც, რა თქმა უნდა, დაკეტესო''.

გამომცემლებმა კი არ იზარალეს, თვით ,,სახალხოს'' კასამ იზარალა, რადგან გამომცემელი გაზეთ „ხალხისა" „სახალხო გაზეთი" იყო. იქნებ ეს თქვენ აღარ გახსოვთ, ჰკითხეთ მაშინდელს თქვენს კასირს.

მე რაზედაც ხელს ვაჭერდი, ბ. ჯაჯანაშვილმა მას გვერდი აუხვია: სახელდობრ მე ვამბობდი: გაზეთი „ხალხი" იმიტომ გამოსცა ,,სახალხო გაზეთის" რედაქციამ, რომ სამ კაპიკიანი გაზეთი როგორმე დაეცათ, სული შეეხუთნათ *). ამ მიზანს მიაღწიეთ კიდეც. თუ ჩემი არ გჯერათ, ჰკითხეთ თვით „სინათლის" რედაქტორს ბ. ივ. როსტომაშვილს.

თუ ბ. ივ. როსტომაშვილსაც არ დაუჯერებთ, მაშინ ყველაფერი დაე თქვენმა სინიდისმა ზიდოს!

სანდრო შანშიაშვილი.

სადგისები

მართალი გითხრათ, ამერია დავთარი.

უკვე აღარ ვიცი მიიცვალა სამუდამოდ და თან წაიღო თქვენი ჭირი, თუ ჯერ კიდევ ძილშია, მხოლოდ ძილში ის ,,შაითანი'' საზოგადოება, რომელსაც ეწოდება ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება.

თუ მკვდარია, ჭირისუფალნი და მახლობელნი რად არ ეცდებიან, მიწაში ჩაფლან.

ეს საჭიროა მრავალის მოსაზრებით, ჯერ ერთი, სივრცე დაცარიელდება და რადგანაც, ფიზიკა გვასწავლის, ბუნებას სიცარიელე არ უყვარსო, მის ადგილს სხვა დაიჭერს, მკვდარს ცოცხალი შეენაცვლება; კარგია, ცოცხლისა იმედი მაინც ექნება ადამიანს.

მეორე ისა რომ, და თქვენც ამაში დამეთანხმებით, მიცვალებულის დიდხანს გაჩერება ჰაერში სასურველი არ არის, არც ყნოსვისთვის, არც ჯანმთელობისთვის.

რაღად გვესაჭიროება, თქვენი ჭირიმეთ, ეს ახალი წყარო ახალი ფათერაკისა! განა ცოტა სენი და ავადმყოფობა გამოგვიწერეს უცხოეთიდან?

სახადი ერთნაირი, სახადი მეორენაირი, ხოლერა, შავი ჭირი, ხუნაგი და კიდევ სხვა (დაწვრილებით ცნობებისათვის მიმართეთ ადგილობრივ გაზეთების ქრონიკიორთა ბიუროს, ერევნის მოედანი, ქალაქის თვითმართველობა) და ყველა ეს ,,ზაგრანიჩნი" იმპორტაცია გახლავთ.

მაგრამ არის ისეთი მიცვალებული, რომელიც თავისიანებსაც ეჯავრებათ და უკანასკნელ ვალსაც არ მიუძღვიან ხოლმე საცოდავს, ვინც ამ ცოდვილ ქვეყნიდან სამუდამოდ აბარგებულა.

ეს მეტის მეტია, ასეთი უმადურობა და მოძულება ადამიანის სახისა მე არ მომწონს. ქრისტიანის წესი უთუოდ უნდა შესრულდეს.

რა გაეწყობა! წავალ, წავიდებ თან ჩემს სიკვდილ-სიცოცხლის სასინჯს და ჩამოუვლი ამ შაითან საზოგადოების ჯერ გამგეობის წევრებსა და მერე მის თავმჯდომარეს ბ-ონ გ. რცხილაძეს.

ყოველივე გაუგებრობა რომ ამცდეს და მოულოდნელი სიურპრიზი და ხიფათიც არ შემემთხვეს, ამ თავითვე შეურიგდები იმ აზრს რომ საქართველოში მკვდრებმაც ფეხზე წამოდგომა იციან, რასაკვირველია, მხოლოდ ნიშნად ზრდილობისა და პატივისცემისა.

ამ აზრს უთუოდ უნდა შევეჩვიო, თორემ სასინჯის ჩხვლეტაზე მიცვალებულებად გულვებულნი რომ ერთბაშად ფეხზე წამოიჭრან ხომ დამეკარგა მაშინ გონება და შეირყა ჭკვაზედ თქვენი მონა მორჩილი. არა, უთუოდ უნდა მახსოვდეს რომ საქართველოში მკვდრები სდგებიან! თუ ღმერთი გაგვწყრომია და ეს ძველი ზრდილობაც გადავარდნილა, მაშინ რა გაეწყობა! წავალ და სათანადო არზას მივართმევ ქალაქ მოურავს ბ-ნ ხატისოვს, რომელ ამავე დროს ქალაქთა კავშირის კ კასიურ განყოფილების თავმჯდომ რეცაა, რომ სანიტართა რაზმი მათხოვოს ჩვენი ძვირფასი ცხედრებ წასასვენებლად და სამარეში ჩა ბრძანებლად,

გულზეც რომ გასქდნენ სიბ ზით, მაინც არ მივმართავ ძვირ აკაკის დასაფლავების გამო შემდ დამარხვის ქართველთა ბიუროს მის ,,შეფს'' ბ-ნ ვალერიან გუნი ერთხელ მაინც ჭკვა მინდა ვისწა ლო: ჩვენი მკვდრები სხვებს დამარხვინო...

მაშ მშვიდობით... მე წავალ მის სასინჯით...

იქნებ ვერც კი მნახოთ... ზედნ ერი გადაურჩება რაც მე მომელ იმ მოვლენათა საკვირველებას... მშვ დობით... მშვი..დო..ბით!!!

უჩა კიბირ

ქართული რიცხვა

ვისაც ყურადღება მიუქცევია, ყ შეამჩნევდა იმ სამწუხარო მოვლე რომ დღეს ჩვენში ვისაც კი ერთხელ რ სულად უსწავლია ანგარიში, ის ქართუ ლად აღარ ანგარიშობს, თუნდაც რ სულად რიცხვების სახელების მეტი ა იცოდეს რა. ეს სამწუხარო მოვლ რასაკვირველია, ეროვნულ სკოლ თავისუფალ ეროვნულ ცხოვრ ლობითაც აიხსნება. მაგრა მიზეზი ამ უსიამოვნო მ

---

*) როგორც თვით ხელმძღვანელები ამბობდნენ, დავამოწმებ, რომ ,,ხალხის'' მიზანი იყო გაზეთი ,,სინათლე'' მოესპოთ, რადგან თავისად არ მიაჩნდათ.

მაშინდელ გაზეთ ,,ხალხის''

ასოთ-ამწყობი.

ჩვენს ქართულ რიცხვის ნაკლში უნდა ვეძიოთ.

საქმე ისაა, რომ ჩვენ ქართველები ვანგარიშობთ ზეპირსიტყვაობაში ოცობით (ასამდინ), ხოლო წერაში შემოღებული გვაქვს საერთაშორისო ანგარიში ათეულობით—აი, სწორედ ეს შეუთანხმებლობა აძნელებს ქართულად ანგარიშის საქმეს (როგორც პედაგოგიურის, აგრეთვე ეროვნულ აზროვნების მხრით).

მაშინ როდესაც გვესმის (ოცი), **ორმოცი**, **სამ**-ოცი, **ოთხ**-მოცი,—უნდა ვწეროთ (ორი ათეული), **ოთხი** ათეული, **ექვსი** ათეული და **რვა** ათეული. ცხადია, ეს განსხვავება სიტყვიერს და წერითს რიცხვაში შესამჩნევად აძნელებს ქართულად ანგარიშს. უფრო რთულდება საქმე როდესაც ამ „ოცებს" ემატება ათები, თერთმეტები, თორმეტები და სხვა... ამბობენ **ოცდათერთმეტი**—უნდა დაიწეროს კი 3 ათეული და 1 ცალეული **ორმოცდათორმეტი**—უნდა დაიწეროს კი 5 ათეული და 2 ცალეული, **სამოცდაცამეტი**—უნდა დაიწეროს 7 ათეული და 3 ცალეული... და ასე სხვა. წარმოიდგინეთ ეხლა, რომ ადამიანს ბევრი რიცხვი აქვს საანგარიშო და ამასთანავე საჩქაროდაც; დაუმატეთ კიდევ ის გარემოება, რომ ათიათასეულებში კვლავ იგივე სირთულე მეორდება და ადვილი მისახვედრი გახდება, რომ ყოველი ადამიანი ეცდება თავი დააღწიოს ამ საშინელს თავის ტეხას, თუ სხვა რომელიმე საშუალება (მაგ. რუსული ენა) გაცილებით მარტივად მოახერხებინებს ამ ანგარიშს.

რაკი ჩვენ წერის დროს ათეულებითა ვრიცხავთ, ამიტომ ზეპირ სიტყვაობაშიაც რიცხვების ათეულებით გამოთქმას უნდა მივდიოთ—ეს ლოღიკური შედეგია და ამიტომ გასაკვირველი რჩება, თუ რატომ აქამდის არ მოხდა ეს ცვლილება ქართულ ენაში (თუმცა ან რა გასაკვირველია! ქართველებს როდის უყვარდათ ანგარიში, როდის მისდევდნენ მას, რომ ეს ნაკლი ეგრძნოთ).

რიცხვების არსებულ წერით აღნიშვნის ხასიათი მოითხოვს, რომ სიტყვა ოცი სრულებით გამორიცხული იყოს ქართულ ანგარიშიდან (ანგარიშის ლექსიკონიდან). უნდა იყვეს მაშასადამე ათი, ორიათი, სამიათი, ოთხიათი, ხუთიათი და სხვა... იქნებ შეიძლებოდეს ოცდაცხრამდის ჩვეულებრივი თვლის დატოვება, ხოლო მის ზევით უეჭველად უნდა შემოვიღოთ სამიათი, ოთხიათი და სხვა... (სიტყვების შემოკლებით წერა: **ორათი**, **სამათი**... იქნებ სასურველი არ იყვეს გაუგებრობის თავიდან ასაცდენად: მაგ. „ორათორი" შეიძლება კაცმა გაიგოს როგორც „ორადორი").

მკითხველს აქვე მინდა მოვაგონო, რომ რიცხვების ათებით გამოთქმა არსებით სრულებითაც არ ეუცხოება ქართულს ენას! ათასები, მაგალითად, სწორედ ასე ათებით იანგარიშება: **ათასი**, **ორიათასი**, **სამიათასი**, **ოთხიათასი** და სხვა. ასე რომ, ასამდინ რიცხვაშიაც რომ ასეთი გამოთქმა შემოვიღოთ, ამით სრულებითაც არ შევლახავთ ან წავრყვნით ჩვენს წმინდა ქართულ ენის ბუნებას. სამაგიეროდ კი ძალიან გავამარტივებთ ქართულს რიცხვას და ჩვენი ქვეყნის შვილები აღარ გახდებიან იძულებულნი დაიმახინჯონ ენა; და რაც არა ნაკლებ უმთავრესია, ბავშვებს შეუმსუბუქდებათ აზროვნება და ადვილად ისწავლიან ანგარიშს.

ეს საკითხი ძალიან მწვავე საკითხია ქართველთათვის, ამაში ეჭვი მგონი არავის შეეპარება, და იმედია დაუყოვნებლივ მიაქცევენ მას თავის ყურადღებას როგორც ჩვენი ქ. შ. წ. კ. გ.-ლი, აგრეთვე ქართულ კულტურის, ეთნოგრაფიის და სხვა საზოგადოებანი.

საჭიროა საჩქაროდ იყოს გამოთქმული ამ საკითხის შესახებ აზრი ყველა იმათი, ვის გადაწყვეტილებაზედაც დამოკიდებულია განსაკუთრებით პატარა ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმე, რომ ბავშვები ტყუილად აღარ იტანჯებოდნენ და ბევრს დროს არა ჰკარგავდნენ დღესდღეობით არსებულ სიძნელით.

მიხო შალამბერიძე.

P. S. შემიძლიან საზოგადოებას თამამად ვაუწყო, რომ ამ საგნის შესახებ საკუთარს თავზედ გამოცდილებამ და ბავშვებზედ დაკვირვებამაც საუკეთესო, პირდაპირ საარაკო შედეგი მოიტანა.

მ. შ.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისიდან ქართლში გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომი, რომელმაც იმერეთისთვის საზამთრო სათესლეს საქმე უნდა მოაგვაროს,

— საერთობო აგრონომებს აზრად აქვთ თესლეულობის დარიგებისას ლექციები მოაწყონ იმერეთის სხვა და სხვა მხარეში. ამ მიზნით უკვე გაემგზავრა სამტრედიაში საერობო აგრონომი ანდელაკი, სადაც ის ლექციას წაი-

დ. ყვირილა

1 ნოემბერს უნდა მოხდეს აქაურ მომხმარებელ საზოგადოების „ერთობის" ყრილობა.

— ხურდა ფული არც ჩვენს დაბაში მოიძებნება, რაიც დიდად უძნელებს სოფლელებს სანოვაგის თუ სხვა საქონლის ყიდვა გაყიდვას.

ს. ხვირი

18 ღვინობისთვეს აქაურებმა თავიანთ ყრილობაზე დაადგინეს უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის გახსნან.

ს. ნაქალაქევი

ნოქალაქეველებმა დაადგინეს უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის გახსნა.

ნიგლითი (გურია)

ეხლა უკვე გამორკვეულია. წრევანდელი მოსავალი ხალხს შარშანდელ მოსავლის ნახევარიც არ მოსვლია, კარს მომდგარ შიმშილს სასოწარკვეთილება მიჰყავს მცხოვრებნი.

გორი

პოლიციელმა ი. მზარეულიშვილმა მსუბუქად დასჭრა ნიკოლოზ აბედინიძე. რომელსაც ჩხუბი ჰქონდა მეორე პოლიციელ შ. ციგნიაშვილთან.

ხმა სამეგრელოდან

ზუგდიდის მაზრა ერთი უდიდესი მაზრათაგანია საქართველოში. ამ მაზრის ცენტრია დ. ზუგდიდი, სამეგრელოს სამთავროს ყოფილი დედა-ქალაქი. სწავლა-განათლების მხრით ჩვენი კუთხე ჩამორჩენილია, თუმცა ხალხის ბუნებრივი სიფხიზლე და მისი ინსტინქტიური მიდრეკილება სწავლა-განათლებისადმი, რომ ამას გასავალი ჰქონდეს, და პირობები ხელს უწყობდეს, ამ კუთხეს სწავლა-განათლების მხრივ დაწინაურებულ კუთხედ გადააქცევდა.

სამწუხაროა, მაგრამ სამეგრელოს და კერძოდ ზუგდიდის მაზრას რომ გადახედავ გრძნობ რო ეს მხარე დაშორებულია და მოწყვეტილი ქართულ ეროვნულ შეგნებას.

ახალგაზდა სოფლელები, რომელთაც ან წერა-კითხვა უსწავლიათ რუსულ პირველ დაწყებით სკოლაში, ან კიდევ სრულიადუცოდინარნი დარჩენილან, ქართულს ვერ ახერხებენ, და არც ესმით, მაშინ როდესაც არც ერთი ხანში შესული დაბალი-წრის მეგრელი არაა რომ კარგ ქართულს არ ლაპარაკობდეს. თავადაზნაურობაში, სადაც ქართული მწიგნობრობა დიდ პატივცემაშია, ქართულად ლამაზად ლაპარაკობენ.

რუსული სკოლების მომრავლება, ქართული ენის განდევნა და მისი გაუქმება სამოქალაქო თუ საპოლიციო ცხოვრების სარბიელზე, გახლავთ მთავარი მიზეზი იმისა, რომ მასაში, ხალხში ქართული ენა მივიწყებულია. რადგანაც ხალხი არავითარ პრაქტიკულ შედეგს არ მოელის ქართულისაგან და რადგანაც სალაპარაკო მეგრული ენა აქვს, ამიტომ ქართული წიგნი და წერა-კითხვა აქაურებს მეტ ბარგად მიაჩნიათ.

დიდი თავგამოდებითი მუშაობაა საჭირო რომ ქართული ეროვნული სული განვაძლიეროთ აქ, გავავრცელოთ და პატივი და მოწონება მოუპოვოთ ქართულ წიგნსა და წერა-კითხვას. საჭიროა მეგრელთა ინტელიგენციამ განსაკუთრებით იზრუნონ ამაზე, შექმნან დაბა ზუგდიდში ენერგიულ პირთაგან წრე და შეუდგეს მშობლიურ კულტურისა და ენის განმტკიცებას. დღეს ყველას განსაკუთრებული სიფხიზლე და მოქმედება გვმართებს.

მგზავრი.

გერმანელთა ჰაერის ფლოტი

ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება მიიპყრო ჰაერის ფლოტმა. მეომარმა სახელმწიფოებმა დიდი ყურადღება მიაქციეს მის გაუმჯობესებას. ჰაეროპლანების გაუმჯობესების შემდეგ მოიგონეს ზეჰაეროპლანები. ამ მხრივ დიდი წარმატება ეტყობათ ყველას, როგორც ფრანგებს, ისე იტალიელებს, თვით რუსებსაც კი. როგორც ინგლისის გაზეთები იუწყებიან, ფრანგთა გენიოსობას გამოუგონია ისეთი რამ, რაიც სულ ერთიანად შესცვლის ჰაერში ომის მსვლელობასაო. ეს გახლავთ დრედნოუტი ჰაეროპლანი, რომლიდანაც ზარბაზნების სროლა შეიძლება. იგი სამ სართულიანი იქნება, თვითეულს სართულის სიფართოვე 20 მეტრამდინ იქნება. აქ მოთავსდება 12 სული. კომანდა 6 კაცისგან შესდგება: ორი მფრინავი იქნება, ორი საზღვაო არტილერისტი და ორიც მზვერავი. ამ დრედნოუტის სისწრაფე უდრის საათში 120 ვერს.

არა ნაკლებ მეტოქეობას გაუწევს მას გერმანელთა ახალი სისტემის ჰაეროპლანები. „ჰაერის გიგანტები" არა ნაკლებ ძალოვანნი არიან, ვიდრე რუსული „ილია-მურომცები" და ფრანგთა ზედრედნოუტებია. ამის გარდა, მათ მოუგონიათ ჰაეროპლანი დირიჟაბლთან ერთად. ეს ჰაეროპლანი უზარმაზარია და დაკავშირებულია დირიჟაბლით, იგი დიდად გვაგონებს პატარა „ცეპელინს". როგორც თავისი სისწრაფით, ისე მით, რომ ჰაერში გაჩერება შეუძლიან. თურმე ფრანგებს ერთხელ ეცადნათ ამისი მოგვარება და შემდეგ თავი მიუნებებიათ გერმანელებმა ისარგებლეს მათი ცდით და მიზანს მიაღწიეს კიდეც.

ასეთივე გაუმჯობესობა შეუტანიათ „ცეპელინებში". მეტი ყურადღება მიუქცევიათ მამოძრავებელ ძალთა გაძლიერებაზე, მთელი მოყვანილობის უკეთესი ფორმა, რათა თავიდან აიცილოს მტრის ყუმბარები და ზედმეტი სისწრაფე. საათში ეხლა ესენი ჰფრენენ 95 კილომეტრს. ეს ის სისწრაფეა, რომ ჰაეროპლანთა დევნიდან უზრუნველი ჰყონ თავი. აღჭურვითაც კარგად ილჭურვებიან იარაღით. იტევენ მრავალ ტყვიისმფრქვეველს და სწრაფ მსროლელ ზარბაზნებს.

მაგრამ ყველაზე მეტი საყურადღებო ამ ახალს „ცეპელინებში" გახლავთ ზომების მიღება, რაიც თავდაცვაში გამოადგებათ ცეპელინებისთვის ისეთი სახურავები გამოუგონიათ, რომელიც ზედ დაცემულ ყუმბარებს ისხლეტავს თავიდან. ასევე მოუგონიათ ერთგვარი აგრები, რითაც რამდენადმე უზრუნველს ჰყოფენ ჰაერის ფლოტს. ასე მაგალითად, ჰელგოლანდში გერმანელთ აუგიათ ახალი ჰაეროპლანების ანგარი. ეს ანგარი მაღლა ამოიწევს როცა ჰაეროპლანის გაფრენა უნდათ, ხოლო მიწაში ჩაძვრება და უჩინარი ხდება, რაწამს გაფრენს და მტერს დაინახავს. სახურავი ფოლადისაა. ზემოდან მიწა აყრია ბალახით დათესილი. ყველა ეს თვალისთვის მოსატყუებელი საფარია... (უ. რ.).

წერილი ზუგდიდიდან

დიდი ხანია რაც ზუგდიდლებმა გადასწყვიტეს საშუალო სასწავლებლის გახსნა. პირველ ხანებში საკმაო ენერგიაც გამოიჩინეს, გაიძებ-გამოიძებნეს საშუალებაც, შესდგა განსაკუთრებული წრე რომელსაც მინდო ამ საქმის შესახებ ზრუნვა. ამ წრემ სათანადო შუამდგომლობა აღძრა კიდევაც სადაც ჯერ იყო. ის დღეა და ის დღე ამ საქმისა არაფერი ისმის. ამ ორი წლის წინედ აქ გამოჩნდა ერთი ვაჟბატონი, რომელმაც ზუგდიდლები დააიმედა, საშუალო სასწავლებლის ნებართვას მე გიშოვითო. ზუგდიდლებს ასეთი წინადადება ღვთის წყალობად მოეჩვენა, თათბირი გამართეს და შეაგროვეს ფული და გადასცეს ამ ვაჟბატონს საქმის წარმოების ხარჯის დასაფარავად. ამ ახალმა მოამაგემ ფული ჯიბეში ჩაიდო და გზას გაუდგა. მას აქეთია ის ზუგდიდს არ უნახავს, საქმე ამით დაბოლოვდა.

საჭიროა ზუგდიდის საზოგადოება გამოერკვას და რადგანაც დღეს მისთვის არვინ ზრუნავს, თითონ შეუდგეს ამ სასწავლებლის საქმის მოგვარებას.

ზუგდიდელი.

პროვინცია

ბაქო. კვირას 18 ღვინობისთვეს ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბაქოს ფილიან განყოფილების დრამატიულ სექციის მიერ წარმოდგენილ იქმნა, ქ-ონ ქილარჯიშვილის და ბ-ონ შალიკაშვილის მონაწილეობით ს. ჰანტურიშვილის დრამა „მორევში".

ფარდის ახდის წინ საზოგადოებას ემცნო, რომ ბ-ნი შალიკაშვილი ადრევე იხდის ბოდიშს საზოგადოების წინაშე, თუ თვის როლს ვერ შეასრულებს ღირსეულად ავადმყოფობის გამოო.

მაგრამ მიუხედავად ასეთის განცხადებისა, მან თვალსაჩინოდ შეასრულა კოტე გრეხილაძის როლი. პირველიდან აღებული ტონი ისე საუცხოვოდ მიიყვანა ბოლომდე, რომ დამსწრე საზოგადოება გულწრფელად აჯილდოვებდა მხურვალე ტაშის ცემით. კარგი იყო აგრეთვე ქ-ონი ქილარჯიშვილისა მაროს როლში, ქ. წულუკიძისა (ფოტინე) და ქ. ნაკაშიძისა გულჩინას როლში. ბ-ონი ბოხუა ბეგლარის როლში. თვის ლაპარაკით, მიხვრა - მოხვრით, გამომეტყველებით, გრიმითაც კი, სრულებით ვერ წარმოგვიდგინა ქართველის ტიპი ბ. მატარაძემ (ტრიფონ მონაგაძის როლში). ლაპარაკობდა ქართველ ებრაელის კილოთი თითქოს ებრაელს აჯავრებდა. მის თამაშს უგულობა ეტყობოდა. როგორც სცენის მოყვარეს, არა უჭირდა-რა ჭუმბურაძეს. საერთოდ კი პიესა კარგად ჩაატარეს. პიესის შემდეგ ითამაშეს პ. აწყურელის ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „ბებრის საღრღელი". ვოდევილმა მხიარულად გაიარა. ქ-ონმა წულუკიძისამ ბევრი აცინა საზოგადოება.

კ-ალი.

——

ს. დიდი-ჯიხაიში. ხალხის გაჭირვება წამ და წამ მეტად დამაფიქრებელ სახეს ღებულობს; 18 წლიანების ჯარში გაწვევამ მწარე საგონებელში ჩააგდო მცხოვრებნი. შიმშილი მძლავრად ჰშლის ფრთებს, ბავშვები მინდვრებში დარბიან და სხვა და სხვა მინდორ ტყის ხილეულობით იკვებებიან. მალიარიით ავადმყოფს თითქმის ყოველს ოჯახში შეხვდებით, დიდ-ჯიხაიშს ვერ სწვდება ერთი ექიმ-ფერშალი. ადგილობრივ ბაზარზე ყველაფერს ცეცხლი ეკიდება პურს კვირაში ერთხელ აცხობენ და ისიც გირვანქა 7—10 კ. ღირს. შაქარი, ჩაი და სხვა სანოვაგეულობა დიდი ხანია მიუწდომელი გახდა. მეორე უბედურებას იწვევს ყოველ ბაზრობისას ხურდა ფული. საბრალო ავადმყოფ დედაკაცებს, რომელთაც 2-3 ვერსის მანძილიდან მოუზიდავთ, მოუტანიათ საქონელი თავიანთი ლუკმა სასყიდად, ცხარე ცრემლებს აღვრევინებენ: პირველში მყიდველი სულ არ ეკარება საქონელს და მხოლოდ თუ მივიდა, მესამედ ფასში ნდომულობს. უმკაცრეს სენის შიმშილობის წინააღმდეგ ჯერხნობით აქ არავითარი ზომა არ მიღებულა. საკვირველია დუმილი! იმერლები ყოველთვის ჩქარი ხალხი იყო, და ყოველ საქმეში მყისვე უყვარდა ასაქმიანება, წელს კი ასეთ უკიდურესობაში მყოფნი გაჩუმებულან. საჭიროა ეხლავე აქაური ერთად ერთი დაწესებულება წვრილ კრედიტისა შეუდგეს საქმიანობას, და სანოვაგე ეძიოს სხვა ადგილებში. თქმა არ უნდა დიდი-ჯიხაიშის მრავალ რიცხოვან მცხოვრებთათვის მარტო წვრილ კრედიტის დაწესებულება ვერ შესძლებს საკვების მოწოდებას. მან ეხლავე უნდა იშუამდგომლოს საიმპერიო თანხიდან დახმარების მისაღებად. ქუთაისის საერობო აგრონომი გორის მაზრაში წავიდა იმერეთისთვის ზამთარში დასათეს სათესლისთვის. საჭიროა დიდმა-ჯიხაიშმაც შეიტანოს დაუყოვნებლივ თხოვნა, რათა სათესლე მასაც მიეცეს.

ადგილობრივი ბიბლიოთეკის საქმე ვერ არის ხეირიანად, საზოგადოება მას ნაკლებ ყურადღებით ეკიდება. არც ბინა უვარგა, მაგრამ მისი უპირველესი ნაკლი წიგნების უქონლობაა. აქ უკვე საგრძნობლად აცივდა, მცხოვრებთა უმეტესობას ზამთრისთვის შეშა არ მოეძებნება.

ი. ჯ—ლი.

დეპეშები

ლონდონი, 21 ოქტ. თემთა პალატა. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, დღეს დღეობით მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ მუშაობს 1346 სამრეწველო დაწესებულება, რომელიც ამზადებს სამხედრო სურსათს. ასკვიტმა განაცხადა, რომ მომავალ კვირას მთავრობა წინადადებას წარმოადგენს ახალ კრედიტის სათხოვნელადო.

ტოკიო, 21 ოქტომბერი. იოკოსუკში წყალში ჩაუშვეს ზე-დრედნოუტი „იამოსირო", რომლის აგებას 1913 წლის ნოემბერში შეუდგნენ.

პეტროგრადი, 21 ოქტ. ოფიციალი. საზღვაო საგენერალო შტაბი იუწყება: ყოველ სიმართლეს მოკლებულია ცნობა, რომელიც პრესაში გავრცელდა, თითქოს 22 ოქტომბერს ვარნაში დესანტი გადაგვესხასო.

რომი, 22 ოქტ. მთავარი შტაბი, 21 ოქტომბრის ოფიციალი ცნობა. ავსტრიელებს დიდი მაშველი ჯარი მოუვიდაო და შეეცადნენ მედგარის კონტრიერიშით იტალიელთა შემოტევა შეეჩერებინათ და დაებრუნებინათ ამ უკანასკნელთაგან დაჭერილი მნიშვნელოვანი პოზიციები, მაგრამ ვერას გახდნენ. ამგვარივე კონტრ იერიშები მოიტანეს ავსტრიელებმა 19 ოქტომბერს ღამე და 20 ოქტომბერს დილით სხვა და სხვა ადგილას, მაგრამ ყოველგან უკუგდებულ იქმნენ. 21 ოქტომბერს იტალიელებმა შემოუტიეს ზაგორთან, დაიჭირეს რამოდენიმე სახლი და ტყვედ 72 კაცი წამოიყვანეს. გორიცის დასავლეთით მაღლობზე მოხდა სასტიკი ბრძოლა, სოფელ ასლავიასთან. აქ იტალიელებმა ტყვედ წამოიყვანა 317 ჯარისკაცი და 4 ოფიცერი. კარსოზე იტალიელთა ქვეითმა ჯარმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა არტილერია, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიჭირა სანგართა ერთი ნაწილი, ხელთ იგდო ორი ტყვიისმფრქვეველი და დიდ-ძალი სამხედრო მასალა.

პარიზი, 17 ოქტ. ბალკანეთის ფრონტი. კრივოლოკთან ბულგართა ორმა ბათალიონმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. სტრემიელეს სექტორში წინ ვიწევთ. დარდანელში სიწყნარეა. მხოლოდ ზღვაზეა რამოდენიმე მოძრაობა. 3 ოქტომბრიდან დაიწყო ბულგარეთის სანაპიროების ბლოკადა ეგეოსის ზღვაზე მოკავშირეთა ფლოტით. 9 ოქტომბერს მოკავშირეებმა ზარბაზნებუ დაუშინეს დედეაგაჩს. 16—17 ოქტ. ინგლისელთა მინიტორებმა ზარბაზნები დაუშინეს გალიპოლის სამხედრო შენობებს. მიუხედავად მავთულების ხლართისა ინგლისელთა და ფრანგთა წყალქვეშა ნავებმა მოახერხეს მარმარილოს ზღვაში შესვლა სადაც საქმეს უჭირვებენ აქ მყოფ ოსმალთა ნავების მიმოსვლას.

ცეტინიე, 21 ოსტ. ვიშეგრადის ზემოდ ბრძოლა გრძელდება. უკანასკნელ ბრძოლების დროს წამოყვანილი ტყვეთა საზოგადო რიცხვი 300 კაცამდეა. 800 კაცამდე დავუხოცეთ. ღამით მკაცრი ბრძოლის შემდეგ მტერმა ტრეძლავი აიღო.

პარიზი, 21 ოქტომ. ფრიზიის მახლობლად ჩვენ ავაფეთქეთ მტრის სანაღმო შენობები. ნუვროსის სექტორში განსაკუთრებით საარტილერიო სროლა იყო. შამპანში ჩვეულებრივი საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელებმა მახრჩობელა ბოლი გამოუშვეს და იერიში მოიტანეს, მათ მხოლოდ ზოგიერთა თხრილების აღება მოახერხეს მასსიჟის სექტორში „199" მაღლობის წინ. დანარჩენ ადგილზე ჩვენ დავახევინეთ და საგრძნობი ზარალიც მივაყენეთ.

ჰავრი, 21 ოქტომ. ბელგიის მთავარი სადგომიდან იუწყებიან: დღეს გერმანელთა არტილერიამ დაიწყო სროლა ფიუნიულპენისა, პერვაზისა, რაოსლამისა, ოოტსკერკისა და ნოორდშოოტის მხრით. ჩვენი არტილერიაც მარჯვედ უპასუხებდა.

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingneustrasse, 48,
А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe
pour les prisonniers qe guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія. Заказное.
Suisse. Recommandée
Comité International de la Croix
Rouge.
Agence des prisonniers de guerre
Çeneve.

ლონდონი, 21 ოქტ. მეფემ ღამე ცუდად გაატარა-ტკივილები აეშალა.

კრალიევო, 22 ოქტ. სერბთა ცნობა. 19 ოქტომბრისთვის საზოგადო მდგომარეობა ასეთი იყო. მტერმა იერიში დაიწყო კრაგუევაცზე, რის გამოც ჩვენ უკან დავიხიეთ ამ ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტზე, რაკი-ღა მტერმა საგრძნობი ძალებით გამოილაშქრა, ნიშავის მიმართულებით მოგვიხდა დახევ სწორედ იმ დროს როდესაც ბელა-პალანკის მიმართულებით მოვიგერიეთ მეორე მათი იერიში და საგრძნობელი ზარალიც მივაყენეთ.

პარიზი, 22 ოქტ. მთელს ღამის განმავლობაში ხელითსასროლ ყუმბარ ვუშენდით ერთმანეთს ლილის გზაზე ვილ-სენტ-ვაასტის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ერთსა და იმავე დროს ამ რაიონში მკაცრი საარტილერიო ბრძოლა იყო. შამპანში ჩვენ დავიბრუნეთ ზოგიერთი დაკარგული თხრილები, თუმცა გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ და ცხელ სითხეს თავზე გვასხამდნენ.

ბალკანეთის ფრონტზე კრივოლაკსა და საბროვოს შუა 19 ოქტომბრიდან საგულისხმიერო არა მომხდარა-რა.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა.

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა და წნორისკენ დილ.	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღევის	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევის	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან	12 ს. 54 წ.	დღ.
№ 4	ბათომიდან	5 ს. 55 წ.	საღ.
№ 5	ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ.	საღ.
№ 10	ბათომიდან	9 ს. 51 წ.	დილ.
	ჯულფიდან	6 ს. 53 წ.	დილ.
	ბორჯომიდან	7 ს. 25 წ.	დილ.
	„ საგარ.	10 ს. 28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს. 45 წ.	დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს. 3 წ.	საღ.
№ 6	ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ.	დღ.
№ 9	ბათომისკენ	8 ს. 53 წ.	საღ.
	ჯულფისკენ	10 ს. 23 წ.	საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ.	დღ.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება"

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო", „თანამედროვე აზრი", „ეშ მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა" და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია"** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი"** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები"**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები"**—ბეგლარ ახოსპირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში"**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвеструу Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძიძიგურები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ჩოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ, მაილოვის-შვილ"**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი"** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან